



ევროკავშირი
საქართველოსთვის
The European Union for Georgia



პროექტი „საჯარო მმართველობის რეფორმის მონიტორინგის სისტემის შემუშავება“

პოლიტიკის შეფასების ჰოლისტური ჩარჩო - IRC IRC POLICY EVALUATION HOLISTIC FRAMEWORK

სარჩევი

შესავალი	3
პოლიტიკის შეფასების არსი და მნიშვნელობა	5
პოლიტიკის შეფასების სისტემური მოდელირება	8
პოლიტიკის შეფასების მთავარი მახასიათებლები	8
პოლიტიკის შეფასების კრიტერიუმები	11
პოლიტიკის შეფასების სისტემასთან დაკავშირებული ძირითადი გამოწვევები და მათი მართვა	12
პოლიტიკის შეფასების უნარებისა და კომპეტენციების გაგება	14
პოლიტიკის დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების გამოცდილება საქართველოში	16
IRC პოლიტიკის შეფასების ჰოლისტური ჩარჩო	17
შეფასების ჰოლისტური ჩარჩოს სახელმძღვანელო პრინციპები და ეთიკის სტანდარტები	17
შეფასების ჰოლისტური ჩარჩოს ეტაპობრივი მართვა	19
IRC პოლიტიკის ჰოლისტური ჩარჩო პოლიტიკის შეფასების მეთოდოლოგიასა და შესაბამის ინსტრუმენტები	23
IRC პოლიტიკის შეფასების ჰოლისტური ჩარჩოს პირველი დონე	26
IRC პოლიტიკის შეფასების ჰოლისტური ჩარჩოს მეორე დონე	27
IRC პოლიტიკის შეფასების ჰოლისტური ჩარჩოს მესამე დონე	28
IRC შეფასების ჰოლისტური ჩარჩოს გამოყენების პროცესში გასათვალისწინებელი ფაქტორები	30
პოლიტიკის შეფასების მეთოდოლოგია და მეთოდები	36
მონაცემთა შეგროვების ხარისხობრივი და რაოდენობრივი მეთოდები	40
დანართები	43
დანართი # 1: პოლიტიკის დაგეგმვის პროცესი - პოლიტიკის ინტერვენციების შეფასება	43
დანართი # 2: პოლიტიკის განხორციელებისა და მონიტორინგის პროცესი - სამოქმედო გეგმის შესრულების შეფასება	55
დანართი # 3: პოლიტიკის შეფასების პროცესი - პოლიტიკის შედეგების და გავლენის შეფასება	64
დამატებითი წყაროები პოლიტიკის სექტორული ინდიკატორების შესახებ	75
გამოყენებული ლიტერატურა	76

შესავალი

პოლიტიკის დაგეგმვის სწორად და გამართულად აწყობილი ციკლი საჯარო მმართველობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია, რომელიც უზრუნველყოფს კარგი მმართველობის პრინციპების გატარებას. პოლიტიკის ინტერვენციების დაგეგმვა, პროგრამირება და ბიუჯეტირება ამ ციკლის არსებითი ელემენტებია. თუმცა, გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან აღიარებულია, რომ ქმედითი ნაბიჯებისთვის ეს საკმარისი არაა - საზოგადოების საჭიროებებზე მორგებული რეფორმების გატარება და არსებული პრობლემების რეალურად გადაჭრა მხოლოდ მტკიცებულებებზე დაფუძნებულ პოლიტიკასა და შედეგზე ორიენტირებულ მართვასთან ერთადაა შესაძლებელი. შესაბამისად, გამოიკვეთა შეფასების ჰოლისტური მიდგომის გამოყენების აუცილებლობა. ამგვარი მიდგომით პოლიტიკის პოტენციური ინტერვენციები ფასდება წინდაწინ, მათ გატარებამდე და კონკრეტული გადაწყვეტილებების მიღებამდე, რათა რაციონალურად შეირჩეს საუკეთესო (ex-ante evaluation). ამასთან, პოლიტიკის ინტერვენციის პროცესში შეფასებით კონტროლდება მათი შესრულების ხარისხი (process evaluation). და ბოლოს, ინტერვენციის დასრულებისას ფასდება პოლიტიკის შედეგები როგორც აქტივობების, ისე ამოცანებისა და გავლენების მიღწევის დონეზე (ex-post evaluation).

დოკუმენტის მიზანია, დაეხმაროს სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებს სახელმწიფოს მხრიდან პოლიტიკის ინტერვენციების გარე შეფასებაში და ამისათვის მისცეს მათ კონკრეტული მეთოდოლოგიური ინსტრუქციები და რეკომენდაციები. პოლიტიკის ინტერვენციებში იგულისხმება: კონცეპტუალური, სტრატეგიული და სამოქმედო პოლიტიკა რეგულაციების ჩათვლით, პროგრამა, პროექტი და აქტივობები, რომლებიც საზოგადოებრივი პრობლემების მართვისათვის გამოიყენება პოლიტიკის წარმოების ნებისმიერ ეტაპზე: დღის წესრიგის შემუშავების, მისი ფორმულირების, დამტკიცების, შესრულებისა და შეფასების პროცესში.

პუბლიკაციის პირველ თავში წარმოდგენილია ინფორმაცია პოლიტიკის დაგეგმვის, განხორციელების, მონიტორინგისა და შეფასების შესახებ არსებულ საერთაშორისო გამოცდილებაზე. მეორე თავში მოცემულია საქართველოს გამოცდილება ამ მიმართულებით და შეფასების ინსტიტუციური მექანიზმები, რომელთაც საფუძვლად დაედო საქართველოს მთავრობის 2019 წლის 20 დეკემბრის 629-ე ბრძანება - პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავების, მონიტორინგისა და შეფასების წესის დამტკიცების შესახებ; ასევე, 2020 წლის 17 იანვრის 35-ე ბრძანება - რეგულირების ზეგავლენის შეფასების მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ. მესამე თავი ეხება უშუალოდ პროექტის ფარგლებში შემუშავებული პოლიტიკის შეფასების ჰოლისტური ჩარჩოს კონკრეტულ სტანდარტებს. მეოთხე თავში კი აღწერილია პოლიტიკის ჰოლისტური ჩარჩოს განსახორციელებლად საჭირო აქტივობები, რაც ეფუძნება შეფასების ეტაპობრივი მართვის ჩარჩოს. დოკუმენტს თან ახლავს დანართები, რომლებშიც მოცემულია პოლიტიკის შეფასების თითოეული განზომილებისათვის რელევანტური კითხვარი. პუბლიკაცია სრულდება

პოლიტიკის შეფასების ლექსიკონით და დამატებითი წყაროებით პოლიტიკის სექტორული ინდიკატორების შესახებ.

დოკუმენტი ეფუძნება პოლიტიკის დაგეგმვის მიმართულებით არსებულ საუკეთესო პრაქტიკას, OECD/SIGMA სტანდარტებს, World Bank-ის World Governance Indicator (WGI) მეთოდოლოგიას, გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მონიტორინგისა და შეფასების სახელმძღვანელოს (Handbook on Monitoring and Evaluating for Results), აუდიტის მეთოდოლოგიას და ევროკავშირის წევრი ქვეყნების გამოცდილებას.

დოკუმენტი შემუშავებულია ევროკავშირის მიერ მხარდაჭერილი პროექტის „საჯარო მმართველობის რეფორმის მონიტორინგის სისტემის შემუშავება“ ფარგლებში.

დოკუმენტში გამოკვეთილია აღნიშნული ინსტრუმენტის ორი მთავარი ფუნქცია: ერთი მხრივ, პოლიტიკის შეფასების ჰოლისტური ჩარჩო არის საფუძველი პოლიტიკისა და გაწეული ხარჯების შესახებ პარლამენტისა და ფართო საზოგადოების წინაშე ანგარიშვალდებულებისთვის (ანგარიშვალდებულების ფუნქცია); მეორე მხრივ, ის თავს უყრის ინფორმაციას პოლიტიკის ფორმულირებისა და შესრულების გასაუმჯობესებლად (სწავლებაზე ორიენტირებული ფუნქცია).

მისი გამოყენება ქმნის ახალ შესაძლებლობებს შემდეგი ამოცანების მისაღწევად:

- გარე აქტორების მიერ შეფასების შედეგების გამოყენება საჯარო მმართველობის პროცესის გასაუმჯობესებლად;
- შიდა შეფასების პრაქტიკის გამჭვირვალებისა და ანგარიშვალდებულების პრინციპებზე დაფუძნება;
- პოლიტიკის შეფასების გაუმჯობესება და შედეგების გავრცელება ცოდნის, უნარებისა და ინსტრუმენტების დონეზე.

წარმოდგენილი ჩარჩოს ჰოლისტური მიდგომა გამოიხატება იმაში, რომ სხვა, დღემდე მოქმედი შეფასების ინსტრუმენტებისგან განსხვავებით, გამოკვეთს პოლიტიკის ინტერვენციების ყველა ტიპს და აფასებს პოლიტიკის წარმოების ნებისმიერ ეტაპზე. ამავდროულად, ჰოლისტურობას განსაზღვრავს პოლიტიკის ინტერვენციების შეფასება გარე აქტორების პერსპექტივებიდანაც და არა მხოლოდ შიდა სახელმწიფოებრივი ინსტიტუციური გარემოს დონეზე, რაც ხშირად შიდა შეფასების უმთავრეს შეზღუდვად აღიქმება. აღნიშნული ასპექტი მნიშვნელოვნად აფართოებს ინტერვენციის სრულყოფილი შეფასების შესაძლებლობებს.

პოლიტიკის შეფასების არსი და მნიშვნელობა

პოლიტიკის შეფასება განიმარტება, როგორც „მიმდინარე ან დასრულებული პოლიტიკის ან რეფორმის ინიციატივის, მისი მიზნის, განხორციელების და შედეგების სტრუქტურირებული და ობიექტური შეფასება. მისი მიზანია განსაზღვროს პოლიტიკის აქტუალობა და ამოცანების შესრულება, ქმედითობა, ეფექტურობა, ზემოქმედება და მდგრადობა, ასევე, პოლიტიკის ღირებულება და მნიშვნელობა“ (OECD, 2020). რიგი ქვეყნები განმარტავენ შეფასების ცნებას, ხოლო ზოგიერთი უშუალოდ პოლიტიკის შეფასებას განმარტავს. ჩანართში #1. რამდენიმე ასეთი მაგალითი არის მოცემული.

ჩანართი 1. (პოლიტიკის) შეფასების დეფინიციები

ნიდერლანდები: „პოლიტიკის შეფასება არის პოლიტიკის ეფექტიანობის (ოპტიმალური შედეგის მიღწევა შესაძლო მინიმალური დანახარჯებით და არასასურველი გვერდითი ეფექტების გარეშე) და ეფექტურობის (პოლიტიკის მიზნების რეალიზება პოლიტიკის ნაცადი ინსტრუმენტების გამოყენებით) გამოკვლევა.“ (ნიდერლანდების ფინანსთა სამინისტრო, 2018[6]).

ამერიკის შეერთებული შტატები: „ანალიტიკური შეფასება ნიშნავს შეფასებას ერთი ან მეტი პროგრამის, პოლიტიკის დოკუმენტის მტკიცებულებათა სისტემატური შეგროვებისა და ანალიზის გამოყენებით, და ორგანიზაციების მუშაობას, რომლებსაც სურთ შეაფასონ მათი ეფექტურობა და ეფექტიანობა.“ (115-ე კონგრესი, 2019[7]).

კანადა: „შეფასება არის მტკიცებულებათა სისტემატური და ნეიტრალური შეგროვება და ანალიზი, რათა განისაზღვროს [პოლიტიკის ინტერვენციების] ხარისხი, მნიშვნელობა და ღირებულება. შეფასება ხელს უწყობს გადაწყვეტილების მიღებას, გაუმჯობესებას, ინოვაციებსა და ანგარიშვალდებულებას. შეფასება, ჩვეულებრივ, ფოკუსირებულია პროგრამებზე, პოლიტიკასა და პრიორიტეტებზე და მისი მეშვეობით განისაზღვრება აქტუალობა, ეფექტურობა და ეფექტიანობა. თუმცა, მომხმარებლის მოთხოვნებიდან გამომდინარე, შეფასებისას შეიძლება ასევე სხვა პუნქტების, თემებისა და საკითხების შესწავლა, არსებულ დონისძიებათა ალტერნატივების ჩათვლით. შეფასებისას ზოგადად გამოიყენება სოციალურ მეცნიერებათა კვლევის მეთოდები“ (კანადის სახაზინო საბჭო, 2016[8]).

წყარო: ნიდერლანდების ფინანსთა სამინისტრო (2018[6]), აშშ-ის 115-ე კონგრესი (115-ე კონგრესი, 2019[7]), კანადის სახაზინო საბჭო (კანადის სახაზინო საბჭო, 2016[8]).

საჯარო უწყებებისთვის პრიორიტეტული ხდება პოლიტიკის შეფასების ისეთი მიდგომა, რომელიც ადგენს, წარმატების რა პოტენციალი აქვს პოლიტიკას და რატომ (მაგალითად, სწავლების ფუნქცია), ასევე, როგორ განაწილდეს ეფექტიანად ფინანსური რესურსები (მაგალითად, სწავლების მიზნით). თუმცა, პრაქტიკოსები და დაინტერესებული მხარეები არასაკმარისად იცნობენ შეფასების სხვადასხვა მეთოდს, რომლებიც შემუშავებულია იმის შესაფასებლად, თუ რამდენად მიღწეულია მოსალოდნელი მიზნები სამთავრობო დონისძიებებით (მონიტორინგი, ხარჯების ანალიზი ან საქმიანობის ეფექტიანობის მართვა), ასევე, რით განსხვავდება ან ავსებს ერთმანეთს თითოეული მათგანი. მაგალითად, ზოგჯერ პოლიტიკის შეფასება შეიძლება დაუახლოვდეს საქმიანობის ეფექტიანობის აუდიტს, თუმცა, ეს ორი პრაქტიკა, როგორც პროფესიული დისციპლინა, ერთმანეთისგან განსხვავდება ფუნდამენტური ფორმების

თვალსაზრისით, ვინაიდან შეფასების არსი სწორედ ინტერვენციების შედეგებთან მიმართებაში მიზნუშედეგობრივი კავშირის დადგენის საფუძველზე, ე.წ. ატრიბუციის ლოგიკიდან უნდა გამომდინარეობდეს და ადგენდეს, ნამდვილად ინტერვენციის საფუძველზე მოხდა თუ არა ამ შედეგებზე გასვლა.

სწორედ ამიტომ არის მნიშვნელოვანი მონიტორინგისა და შეფასების ერთმანეთისაგან განსხვავება. მონიტორინგით მოწმდება დაგეგმილი მიზნების მიღწევის პროგრესი. იგი შეიძლება განიმარტოს, როგორც ფორმალური ანგარიშგება მტკიცებულებათა შესახებ. მტკიცებულებები მიუთითებს, რომ რესურსები სათანადოდ დაიხარჯა, შედეგები წარმატებით მიღწეულია და ეტაპობრივი მიჯნები დაძლეული, მაშინ როცა შეფასება მეტად კონკრეტულია და აფასებს ამა თუ იმ კრიტერიუმის მიხედვით საერთო შესრულების დონეს, როგორ წესი, ინტერვენციიდან გამომდინარეობის და ატრიბუციის გათვალისწინებით (HM Treasury, 2011[9]). (ცხრილი 1.1).

ცხრილი 1.1. პოლიტიკის მონიტორინგისა და პოლიტიკის შეფასების შედარება

პოლიტიკის მონიტორინგი	პოლიტიკის შეფასება
მიმდინარე (ხელს უწყობს გადაწყვეტილებათა ოპერატიულად მიღებას)	ეპიზოდური (ხელს უწყობს სტრატეგიულ გადაწყვეტილებათა მიღებას). განსხვავდება აუდიტისაგან
მონიტორინგის სისტემები, ძირითადად, მიესადაგება ფართო მნიშვნელობის საკითხებს/შეკითხვებს, რომლებიც პროექტის შექმნისას ჩამოყალიბდა	კონკრეტულ საკითხზეა ორიენტირებული
დონისძიებები სრულდება და მონაცემები გროვდება რუტინული პროცესის მეშვეობით ატრიბუცია, ზოგადად, ივარაუდება	ჩვეულებრივ, დონისძიებები შეჯერდება პოლიტიკის თითოეულ შეფასებასთან
ვინაიდან იგი მიმდინარეა, რესურსები, როგორც წესი, პროგრამის ან ორგანიზაციული სტრუქტურის ნაწილია	დაკვირვებას დაქვემდებარებული შედეგების ატრიბუცია, ჩვეულებრივ, საკვანძო საკითხია
ვინაიდან იგი მიმდინარეა, რესურსები, როგორც წესი, პროგრამის ან ორგანიზაციული სტრუქტურის ნაწილია	პოლიტიკის თითოეული შეფასებისთვის საჭიროა შესაბამისი მიზნობრივი რესურსები
ინფორმაციის გამოყენება შეიძლება დროთა განმავლობაში გაიზარდოს, რათა აისახოს ინფორმაციაზე მოთხოვნისა და პრიორიტეტების ცვლადობა	პოლიტიკის შეფასების სავარაუდო მიზნებზე, ჩვეულებრივ, წინასწარი შეთანხმებაა მიღწეული
წყარო: Adapted from McDavid, Huse and Hawthorn (2006[10]), Program evaluation and performance measurement: an introduction to practice, Thousand Oaks, California: Sage, in OECD (2019[11]), Open Government in Biscay.	

გარდა ამისა, ბოლო წლებში, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის წევრ სახელმწიფოთა მთავრობებმა, შეიმუშავეს რიგი მექანიზმები, რომლებიც ფოკუსირებულია საბიუჯეტო გადაწყვეტილებათა თანხვედრაზე საჯარო პოლიტიკის ციკლთან, რაც მიზნად ისახავს საჯარო სექტორის საქმიანობის ეფექტურობისა და ეფექტიანობის ამაღლებას (OECD, 2019[12]). ამ ინსტრუმენტებს შორისაა:

- **ხარჯების მიმოხილვა (Spending reviews)**, - იგი მიზნად ისახავს მთავრობის ხელთ არსებული ფისკალური სივრცის გაფართოებას, რათა დაფინანსდეს პოლიტიკით განსაზღვრული პრიორიტეტები. თავდაპირველად, გლობალური ფინანსური კრიზისის შემდეგ, ხარჯების მიმოხილვა განისაზღვრა მექანიზმად, რომლის მიზანია დანაზოგების ამოღება დაწესებულებებიდან, რასაც მოჰყვება სახელმწიფო ხარჯების ხარისხის გაუმჯობესება (OECD,

2011[13]). მას შემდეგ ხარჯების მიმოხილვის მექანიზმი განვითარდა - მისი მეშვეობით დგინდება, შესაბამება თუ არა სექტორულ უწყებათა საქმიანობა მთავრობის პრიორიტეტებს და ამ უწყებათა წინაშე განხორციელების პროცესში არსებულ გამოწვევებს, რომელთა წინაშეც მოცემული დაწესებულება დგას (OECD, 2019[12]). მისგან განსხვავებით, პოლიტიკის შეფასება ორიენტირებულია არა მხოლოდ ხარჯების დასაბუთებულობის გაზომვაზე ქმედითობის თუ ფასისა და ხარისხის შესაბამისობის თვალსაზრისით (Smismans, 2015[14]), არამედ მათი მიზნებთან კავშირის შეფასებაზე და იმ ფარგლების განსაზღვრაზე, რომელშიც სახელმწიფოს ჩარევა თვალსაჩინო შედეგს იწვევს. აქედან გამომდინარე, ეს ორი მიდგომა სახელმწიფო პოლიტიკის პროგრამებსა ან აქტივობებს კი აფასებს ისეთი კრიტერიუმის საფუძველზე, როგორცაა ეფექტიანობა, მაგრამ ხარჯების მიმოხილვისას განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა სახელმწიფო ხარჯების ხარისხის ამაღლებას და გადანაწილების შეთავაზებას (მსოფლიო ბანკი, 2018[15]). შეფასებას შეიძლება უფრო ფართო საგანმანათლებლო ფუნქცია ჰქონდეს და ხელს უწყობდეს საქმიანობის ეფექტიანობის შეფასებას თავდაპირველად დასახულ მიზნებთან მიმართებით. გარდა ამისა, შეფასება შეიძლება გადამწყვეტი მექანიზმი იყოს ხარჯების მიმოხილვის შედეგების ინფორმირებისთვის, რის გარეშეც მან შეიძლება მექანიკური პრაქტიკის სახე მიიღოს.

- **საქმიანობის შესრულების მართვა (Performance management)** - არის პროცესი, რომლის მეშვეობითაც დაწესებულება უზრუნველყოფს თანამშრომელთა ინდივიდუალურ თუ ჯგუფურად ჩართვას ორგანიზაციული ეფექტიანობის გაუმჯობესებაში (Walker and Moore, 2011[16]). ეს პრაქტიკა, პოლიტიკის შეფასების მსგავსად, მიზნად ისახავს ანგარიშვალდებულების გაზრდას და სანდო, ხარისხიანი მონაცემების მიწოდებას გადაწყვეტილების მიმღებ პირთათვის, მათი ინფორმირების მიზნით (OECD, 2019[12]). ზოგადად, ეფექტიანობის მართვა მიმართულია იმისკენ, რომ პროგრამამ იმუშაოს გეგმის შესაბამისად - დროულად და რესურსების ეფექტიანი გამოყენებით, მაგრამ მისი მეშვეობით ვერ აიხსნება საქმიანობის ეფექტიანობის ცვლილებები (Kroll and Moynihan, 2018[17]). თავის მხრივ, პოლიტიკის შეფასებამ შეიძლება ხელი შეუწყოს საქმიანობის შედეგების გაზრდას და ხელი შეუწყოს „პოლიტიკის მენსიერების“ დაგროვებას გამოცდილებასა და მოწინავე პრაქტიკასთან დაკავშირებული გამოწვევების გათვალისწინებით, რომლებიც შეიძლება ჩაერთოს ეფექტიანობის ამაღლებისაკენ მიმართულ შემდგომ ძალისხმევაში (Acquah, Lisek and Jacobzone, 2019[18]; OECD, 2008[19]).
- **აუდიტის (Audit)** მიზანია განსაზღვროს, შესაბამება თუ არა შეგროვებული ინფორმაცია ან ფაქტობრივი პირობები დადგენილ კრიტერიუმებს, ფინანსურ და იურიდიულ წესებთან შესაბამისობის ჩათვლით. აუდიტი ხელს უწყობს საჯარო სექტორის უწყებებისა და საჯარო მოხელეთა მიერ მათი ფუნქციების ეფექტიან და ქმედით შესრულებას, ეთიკის წესებისა და სათანადო კანონებისა თუ რეგულაციების დაცვით (International Organisation of Supreme Audit Institutions, 2019[20]). მაგალითად, დამოუკიდებელი გარეშე უწყება - აუდიტის უმაღლესი ინსტიტუტი (SAI), საკანონმდებლო და სხვა საზედამხებელო ორგანოებთან ერთად, გარკვეულ როლს ასრულებს მთავრობაზე ზედამხებელობაში და მის მიერ რესურსების გამოყენებაზე ანგარიშვალდებულების კონტროლში. ამრიგად, აუდიტის უმაღლესი ინსტიტუტი ხელს უწყობს პოლიტიკის შეფასებას, კერძოდ, ღირებულ ინფორმაციას იძლევა მთავრობის ძირითადი ფუნქციების შესახებ. ამავდროულად, უზრუნველყოფს მთავრობის ანგარიშვალდებულებას (OECD, 2016[21]). მას ასევე შეუძლია შეასრულოს ორმაგი როლი: ერთი - აუდიტის (შესაბამისობის აუდიტისა [compliance audits] და საქმიანობის ეფექტიანობის [performance audits] აუდიტის ჩათვლით), ხოლო მეორე - ანალიტიკური შემფასებლის (იხ. თავი 3).

პოლიტიკის შეფასების სისტემური მოდელირება

შეფასების ჰოლისტური ჩარჩო ეფუძნება შეფასების სისტემურ მიდგომას. ლაზაროს განსაზღვრებით, ეს არის პროცესი, რომელშიც შეფასება არის საჯარო პოლიტიკის და პროგრამების სასიცოცხლო ციკლის რეგულარული ელემენტი, ტარდება მეთოდოლოგიურად მკაცრი და სისტემატური სახით, ხოლო მის შედეგებს იყენებენ პოლიტიკურ გადაწყვეტილებათა მიმღები პირები და მენეჯერები. ამავდროულად, შედეგები ხელმისაწვდომია საზოგადოებისთვის (2015[54]). შეფასების სისტემას, რომელიც ერთმანეთთან დაკავშირებული ელემენტების ერთობლიობაა და ზეგავლენას ახდენს მის ცალკეულ კომპონენტებზე, სჭირდება მუდმივი ადაპტაცია და შესაბამისი კორექტირება პოლიტიკის მთელი ციკლის განმავლობაში, რაც ზემოქმედებს ინსტიტუტების, პროცესების, უნარების განვითარებისა და პოლიტიკის აქტორების ორგანიზაციულ ფორმებზე (OECD, 2017[53]). პოლიტიკის შეფასების ჰოლისტური ჩარჩო პოლიტიკის შეფასების საიმედო ინსტრუმენტად აღიქმება, თუ მას სამი განზომილებით დავინახავთ:

1. **შეფასების ინსტიტუციონალიზაცია:** გულისხმობს შეფასების პრაქტიკის უფრო ფორმალურ და სისტემატურ მეთოდებში მოქცევის სისტემურ პროცესს. ის შეიძლება მოიცავდეს შეფასების სისტემის ჩამოყალიბებას სამთავრობო სტრუქტურაში, კონკრეტული პოლიტიკისა და სტრატეგიების მეშვეობით (Lázaro, 2015[54]; Gaarder and Briceño, 2010[55]).
2. **შეფასების ხარისხი:** გულისხმობს პოლიტიკის ტექნიკურად მკაცრ და, ამავდროულად, კარგად მართულ შეფასებას; შეფასების ხარისხი ნიშნავს, რომ იგი უნდა იყოს დამოუკიდებელი, ობიექტური და გადაწყვეტილების მიღების პროცესისთვის შესაფერი (Picciotto, 2013[56])
3. **შეფასების გამოყენება:** ეს მიიღწევა ხსენებული ორი პირობის საფუძველზე, თუმცა შეიძლება დამოუკიდებელი მნიშვნელობითაც გამოიყენებოდეს (Ledermann, 2012[57]): *სიმბოლური გამოყენება* (აგრეთვე ცნობილია, როგორც დამაჯერებელი) ნიშნავს შეფასების შედეგებზე დაყრდნობით დასაბუთებას ან დაკანონებას, არსებული პოზიციის ცვლილების გარეშე; *კონცეპტუალური გამოყენება* ნიშნავს შეფასების შედეგების საშუალებით შეფასების ობიექტის კონცეფციის უკეთ აღქმას ან ცვლილებას; ხოლო *ინსტრუმენტული გამოყენება* გულისხმობს გადაწყვეტილებათა მიღებას შეფასების საფუძველზე ჩამოყალიბებული რეკომენდაციებით, რაც იწვევს ობიექტის შეფასების ცვლილებას.

შეფასების გამოყენებაზე მსჯელობისას, განსაკუთრებული აქცენტი უნდა გაკეთდეს შეფასების შედეგების დროულ გამოყენებაზე, კერძოდ, ინფორმაცია შედეგებზე მიეწოდება თუ არა უშუალოდ გადაწყვეტილების მიღების პროცესში. იმის გათვალისწინებით, რომ პოლიტიკის წარმოებისას გადაწყვეტილებები ხშირად დროის საკმაოდ მოკლე ინტერვალში მიიღება, ხოლო შეფასებას, როგორც წესი, დიდი დრო სჭირდება, შესაძლებელია არსებობდეს ორი ტიპის რეაგირება: 1. სწრაფად ადაპტირებადი რეაგირება, რომელიც გულისხმობს სწრაფ შეფასებებს დროის მცირე ინტერვალში და, შესაბამისად, სწრაფ კვლევებს; 2. წინასწარი ინვესტირება და „შეფასების შესაძლებლობათა“ და შეფასების კვლევების გარკვეული რეზერვის შექმნა, რომლებიც მზად იქნება მოთხოვნის წარმოშობის მომენტისთვის. ეს უკანასკნელი ცოდნის არსებული რეზერვების გამოყენებისა და მოკლევადიან მოთხოვნებზე პასუხის საშუალებას იძლევა, მათი წარმოშობის მომენტისთვის. თუმცა, ამისთვის საჭიროა პროგნოზირებული ინვესტიციები და ცოდნის მარაგის სტრატეგიულად მართვის უნარი მოსალოდნელი მოთხოვნის ფონზე. შეფასების ეფექტურად ფუნქციონირებადი სისტემების შესაქმნელად ამ საკითხს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს.

პოლიტიკის შეფასების მთავარი მახასიათებლები

პოლიტიკის შეფასება დამოკიდებულია შემდეგ მახასიათებლებზე: ხარისხი (სისტემური, ობიექტური და ზუსტი); დრო (როდის ტარდება შეფასება - Ex-post vs. Ex-ante); დანიშნულება (მაფორმირებელი/formative და შემაჯამებელი/summative) და ვინ აფასებს (შიდა თუ გარე შეფასება).

შეფასების ხარისხი დამოკიდებულია როგორც მეთოდოლოგიის სიმტკიცეზე, ისე მის სანდოობაზე. სხვადასხვა ქვეყნის პრაქტიკაზე დაკვირვებით დგინდება, რომ დეფინიციებში ყველაზე ხშირად გვხვდება ქვემოთ ჩამოთვლილი მახასიათებლები, რომლებიც ამ ორ ასპექტს ასახავს:

- **სისტემური:** შეფასება ტარდება დაგეგმილი და ორგანიზებული პროცედურისა და შეთანხმებული მეთოდების შესაბამისად. გადაწყვეტილებები სისტემურ მიდგომებს უნდა დაეფუძნოს (კერძოდ, თეორიას: ლოგიკა და დასაბუთება, ზუსტი ინსტრუქციისა ან პრინციპის მიხედვით) და არა დაუსაბუთებელ ვარაუდებს (Gasper, 2018[30]).
- **ზუსტი:** შეფასების სქემა უნდა ჩამოყალიბდეს კარგად შემუშავებული და ნაცადი მეთოდებით, რომლებიც სამიზნე საკითხზე იქნება მორგებული (Commission on Evidence-Based Policymaking, 2017[31]).
- **ობიექტური:** შეფასება უნდა წარიმართოს მიუკერძოებლად, სქემატურ შემუშავებასა და მის შესრულებაზე რაიმე პერსონალური ან პოლიტიკური ზეგავლენის გარეშე (Parkhurst, 2017[32]).

დროის განსაზღვრა (ex-ante vs. ex-post) პოლიტიკის შეფასების დიფერენცირების ერთ-ერთი მთავარი კრიტერიუმია, როგორც ანალიტიკური, ისე მეთოდოლოგიური თვალსაზრისით. ტერმინი „შემდგომი/ex-post“ მიუთითებს რეტროსპექტულ შეფასებაზე, რომელიც შეიძლება იყოს შუალედური (მაგ., ინიციატივის შუა პერიოდში), საბოლოო (მისი დასრულებისას) ან ტერმინის მკაცრი გაგებით, საბოლოო (დონისციების დასრულებიდან რამდენიმე წლის შემდეგ) (Smismans, 2015[34]). „შემდგომი/ex-post“ შეფასების გამოყენება შეიძლება ანგარიშვალდებულების მექანიზმად, ასევე, საქმიანობის ეფექტიანობის შესამოწმებლად, რომელიც აუდიტთან იქნება მიახლოებული, მაგალითად, თუ მას აუდიტის უმაღლესი უწყებები ან შიდა კონტროლის ორგანოები ატარებენ. „შემდგომი/ex-post“ შეფასებით დგინდება, რამდენად და როდის შესრულდა პოლიტიკით დასახული მიზანი. იგი, ამავდროულად, ხელს უწყობს ცვლილების თეორიის ფორმულირებას. მეორე მხრივ, „წინმსწრები/ex-ante“ შეფასება მიუთითებს წესების, ინსტრუქციებისა და პროცედურების ერთობლიობაზე, რომლებიც სახელმწიფო დაწესებულებებს საშუალებას აძლევს, შექმნან სოციალურად მომგებიანი ინვესტირების ინიციატივები მათ განხორციელებამდე (Ministerio de Desarrollo Social y Familia de Chile, 2019[35]). მისი მეშვეობით შეიძლება შეფასდეს შეთავაზებული სტრატეგიისა და ამოცანების შესაბამისობა სამიზნე მოსახლეობის საჭიროებებთან; ასევე განისაზღვროს, არსებული რესურსების ფონზე, რამდენად რეალისტური და ადეკვატურია ვარაუდები მოსალოდნელ შედეგებსა თუ ზემოქმედებაზე (The European Network for Rural Development, 2014[36]).

პოლიტიკის შეფასების მიმართ ახალი მიდგომები ცდილობს გადაჭრას პრობლემა, რომელსაც „წინმსწრები/ex-ante“ და „შემდგომი/ex-post“ შეფასებების ერთმანეთთან დაკავშირება იწვევს და გამოიყენოს ისეთი სისტემა, რომელიც ფოკუსირებული იქნება პოლიტიკის სრულ ციკლზე (რითაც შეფასების ორივე ტიპი იქნება მოცული), პოლიტიკის ყველა სფეროში (Mergaert and Minto, 2015[37]; Smismans, 2015[34]).

OECD-ის მიერ 2018 წელს ჩატარებული კვლევა ადასტურებს, რომ უმეტესად გამოიყენება ex-post შეფასება, რომელიც უკვე რეალიზებულ პოლიტიკას უკავშირდება. OECD-ის წევრი შვიდი ქვეყანა მიუთითებს ex-post შეფასებაზე და მხოლოდ ხუთი ქვეყანა - აგრეთვე ex-ante შეფასებას. კონკრეტული ქვეყნები, მაგალითად, ნორვეგია, უარს ამბობს რომ შეფასება შეიძლება ჩატარდეს როგორც პოლიტიკის განხორციელებამდე (ex-ante), ისე მისი განხორციელების შემდეგ (ex-post) (2006[38]). მსგავსი გადაწყვეტილება ამავდროულად დამოკიდებულია კონტექსტზე და პოლიტიკის შეფასების გამოყენებაზე. ამრიგად, მიუხედავად იმისა, რომ

სახელმწიფო ხარჯები, პოლიტიკა და პროგრამები, ძირითადად, *ex-post* მიდგომით ფასდება, მისგან განსხვავებით, მარეგულირებელ სფეროში ძირითადი ყურადღება უფრო ხშირად ნორმატიული მოთხოვნების წინასწარ (*ex-ante*) შეფასებას ეთმობა.

პოლიტიკის შეფასების დიფერენცირების მესამე საერთო მახასიათებელი უკავშირდება იმას, თუ „ვინ“ აფასებს პოლიტიკას: გარე შემფასებელი (ასევე უწოდებენ „არაფორმალურს“, „გარეშეს“ ან „საზოგადოების ინიციატივით შესრულებულს“), თუ შიდა შემფასებელი (ასევე უწოდებენ „ფორმალურს“, „შეფასების შინაგან სტრუქტურას“ ან „მთავრობის ინიციატივით შესრულებულს“) (Schoenefeld and Jordan, 2017[39]; Weiss, 1993[40]; Hildén, 2014[41]).

გარე არის პოლიტიკის ინტერვენციების შეფასება, თუ მას ატარებს ორგანიზაცია და/ან ინდივიდუალური პირი, რომელიც სამთავრობო სტრუქტურას არ წარმოადგენს. ამ ტიპის შეფასება უფრო დამოუკიდებლად ითვლება და შედეგების მიმართ ნდობაც უფრო მაღალია, თუმცა, შესაძლოა უფრო კრიტიკულად იკვლიოს პოლიტიკის ინტერვენციები (Schoenefeld and Jordan, 2017[39]). ერთი მხრივ, ეს შეფასება შეიძლება დამოუკიდებელი იყოს მთავრობის მოქმედებებისაგან, მაგრამ, მეორე მხრივ, შემფასებელი შეიძლება არასაკმარისად იცნობდეს კონტექსტს და პოლიტიკურ პროცესებს; ამასთან, არ ჰქონდეს წვდომა საჭირო მონაცემებზე.

შიდაა პოლიტიკის ინტერვენციების შეფასება, რომელსაც სამთავრობო დაწესებულება თავად წარმართავს. შიდა შემფასებელმა შეიძლება უკეთ იცოდეს საჯარო პოლიტიკა, უფრო ზუსტად ითვალისწინებდეს ადგილობრივ კონტექსტს და უფრო ადვილად მიუწვდებოდეს ხელი შიდაუწყებრივ მონაცემებზე, გარეშე შემფასებელთან შედარებით (Weiss, 1993[40]; Schoenefeld and Jordan, 2017[39]). და მაინც, შეფასების პროცესში შიდა შემფასებლები შეიძლება აღმოჩნდნენ პოლიტიკური წნეხის ან დროის დეფიციტის ქვეშ, რაც ზეგავლენას იქონიებს შედეგებზე, იმოქმედებს შეფასების დასკვნების სანდოობასა და მათ საზოგადოებრივ განხილვაზე.

ჯერჯერობით არ არსებობს რაიმე მტკიცებულება, რომელიც განსაზღვრავდა შეფასების კონკრეტული ტიპის უპირატესობას. პრაქტიკაში, შიდა და გარე შეფასებებს შორის განსხვავება ზოგჯერ რთული გასარჩევია ჰიბრიდული მიდგომის გამო: პოლიტიკის ან პროგრამის კონკრეტულ, უფრო ტექნიკურ ასპექტთა შიდა შეფასების ელემენტები გაერთიანებულია გარე შეფასების ელემენტებთან. გარდა ამისა, მთავრობამ შეიძლება შეფასება დაავალოს გარეშე ორგანიზაციას (მაგალითად, არასამთავრობო ორგანიზაციას, უნივერსიტეტს), თუმცა, ამავედროულად, შესაფასებელ საკითხებს სახელმწიფო მოხელეები აკონტროლებდნენ (Schoenefeld and Jordan, 2017[39]).

არჩევანი ამ ორ ტიპს შორის დამოკიდებულია პოლიტიკის შეფასების მიზნებსა და მთლიანად სოციალურ-პოლიტიკურ გარემოებებზე (Schoenefeld and Jordan, 2017[39]). ზოგმა ქვეყანამ შეიმუშავა მკაფიო კრიტერიუმები, რომელთა მეშვეობითაც განსაზღვრავენ, რა გარემოებას რა მიდგომა მიესადაგება ყველაზე უკეთ. მაგალითად, ავსტრალიის მინისტრთა კაბინეტის აღმასრულებელი დეპარტამენტი (2014[42]) განსაზღვრავს, რომ მათი არჩევანი შიდა თუ გარე შეფასებაზე დაეფუძნება არსებულ რესურსებსა და შესაძლებლობებს.

გარე შეფასება მრავალ აქტორს მოიცავს: არასამთავრობო ორგანიზაციები, ანალიტიკური ცენტრები, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები ან კერძო ორგანიზაციები. OECD-ის 2018 წლის კვლევით დასტურდება, რომ მთავრობის საყოველთაო პოლიტიკის პრიორიტეტებს, ძირითადად, თავად მთავრობა ახორციელებს (საერთო რესპონდენტებიდან 26 ქვეყანა, OECD-ის 21 ქვეყანა), მაგრამ პოლიტიკის

შესაფასებლად რვა ქვეყანა უპირატესობას ანიჭებს სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების ან უნივერსიტეტების დაქირავებას, ხოლო შვიდი - კერძო სექტორს ირჩევს.

OECD-ის 2018 წლის კვლევის თანახმად, სექტორულ დონეზე, შიდა შეფასების 53%-ს, სამინისტროები ატარებენ ან გარე რესურსებით, ან ცენტრალური სტრუქტურის მეშვეობით (26 ქვეყანა ჯანდაცვის სფეროში, ხოლო 17 - საჯარო სექტორის რეფორმების) ან ცენტრალური სტრუქტურის მეშვეობით (15 ქვეყანა ჯანდაცვის სფეროში, ხოლო 5 - საჯარო სექტორის რეფორმების). სამინისტროების შემთხვევაში გარე შეფასებას მხოლოდ 36% უკავია: აფასებენ არასამთავრობო ორგანიზაციები ან უნივერსიტეტები (12 ქვეყანა ჯანდაცვის სფეროში, ხოლო 8 - საჯარო სექტორის რეფორმების); ან კერძო სექტორი (13 ქვეყანა ჯანდაცვის სფეროში, ხოლო 10 - საჯარო სექტორის რეფორმების).

პოლიტიკის შეფასების კრიტერიუმები

პოლიტიკა სხვადასხვა კრიტერიუმით ფასდება: ეფექტურობა; ეფექტიანობა; მდგრადობა და/ან კონკრეტული ღონისძიებით მიღწეული ზემოქმედება/გავლენა (იხ. ჩანართი 1.2.).

ჩანართი 1.2. პოლიტიკის შეფასების კრიტერიუმები

აქტუალობა / საჭიროება/ მიზანშეწონილობა — რამდენად შეესაბამება (თავდაპირველი) მიზნები საჭიროებებსა და პრობლემურ საკითხებს?

ეფექტურობა — რა დონეზე ახდენს პოლიტიკა/პოლიტიკის ინტერვენციები წინასწარ განსაზღვრული სამიზნეების მიღწევას? რამდენად შეესაბამება შეფასებული შედეგები დასახულ მიზნებს?

ეფექტიანობა — რამდენად გამართლებულია გაწეული ხარჯები მიღწეული ცვლილებებისა და შედეგების ფონზე?

მდგრადობა — რამდენად უზრუნველყოფს პოლიტიკა/პოლიტიკის ინტერვენციები წმინდა სარგებელს გრძელვადიან პერსპექტივაში?

გავლენა/ზემოქმედება — რა შედეგები მოაქვს ინტერვენციებს (პოზიტიური თუ ნეგატიური, პირველადი და მეორადი გრძელვადიანი შედეგები, პირდაპირი ან არაპირდაპირი შედეგები, მოსალოდნელი ან მოულოდნელი)?

წყარო: OECD-DAC (2002[26]), European Environment Agency (2017[27]), Smismans, (2015[14]), and Gasper (2018[28]).

ქვეყნებში დამკვიდრებულ დეფინიციათა უმრავლესობის თანახმად, პოლიტიკის შეფასების მიზანია პოლიტიკის ან პროგრამის ეფექტურობისა და ეფექტიანობის შეფასება. OECD-ის მიერ ჩატარებული საბიუჯეტო სფეროს ბოლო კვლევის შედეგებიც მიუთითებს, რომ ქვეყნები დაინტერესებულნი არიან ღონისძიებათა ეფექტურობისა და ეფექტიანობის შეფასებით. თექვსმეტმა ქვეყანამ აღნიშნა, რომ ისინი „ჩვეულებრივ“, პროგრამების ეფექტურობასა და ეფექტიანობას აფასებენ, შვიდმა ქვეყანამ უპასუხა, რომ ისინი „მუდმივად“ აფასებენ ეფექტურობას, ხოლო ხუთმა სახელმწიფომ აღნიშნა, რომ აფასებენ ეფექტიანობას. ეს შეიძლება იმით აიხსნას, რომ მთავრობისთვის აუცილებელია განსაზღვროს პოლიტიკის არა მხოლოდ ის ვარიანტები, რომლებიც ყველაზე დიდი ზემოქმედების მომტანია, არამედ ისინიც, რომლებიც ყველაზე ხარჯთაღირებელია (Heider, 2017[29]).

შვიდი ქვეყანა (ავსტრია, დიდი ბრიტანეთი, იაპონია, ლიეტუვა, ლატვია, მექსიკა და სლოვაკეთი) შეფასების პროცესს მხოლოდ გავლენის შეფასებაზე დაყვანით ახორციელებს. რამდენიმე ქვეყანა პირდაპირ მიუთითებს გავლენის შეფასებაზე ან ანალიზზე და შეფასების სრულ პროცესზე უარს ამბობს. ეს შეიძლება ადასტურებდეს ზოგიერთი ქვეყნის არასწორ წარმოდგენას შეფასებაზე: ისინი ცდილობენ შეფასება გააკეთონ პოლიტიკის მთელი ციკლის განმავლობაში, მაგრამ ამას აკეთებენ მხოლოდ პოლიტიკის განხორციელების შემდეგ. ანალოგიური შერჩევითი ხასიათი შეინიშნება შვიდ ქვეყანაშიც (ავსტრალია, კანადა, კოსტა-რიკა, დიდი ბრიტანეთი, იაპონია, მექსიკა და სლოვაკეთი), რომლებიც პოლიტიკის შეფასების მიზნებს ძირითადად აქტუალობის თვალსაზრისით განსაზღვრავს.

და ბოლოს, მექსიკას, სლოვაკეთს, დიდ ბრიტანეთსა და კოსტა-რიკას მდგრადობა დეფინიციაში აქვს ჩართული. ამის ერთ-ერთი მიზეზი შეიძლება ის იყოს, რომ მდგრადობის მკაცრი და ზუსტი განმარტება არ არსებობს და მას კავშირი აქვს ეკოსისტემის განზომილებებთან. OECD-DAC-ის შეფასების კრიტერიუმების (2002[26]) შესაბამისად, მდგრადობა მოიცავს „სისტემების ფინანსური, ეკონომიკური, სოციალური, გარემოსდაცვითი და ინსტიტუციური შესაძლებლობების შესწავლას, რომლებიც აუცილებელია დროთა განმავლობაში წმინდა სარგებლის შესანარჩუნებლად“. კიდევ ერთი ასხნის საფუძველზე, ეს შედეგები მიუთითებს, რომ მდგრადობა შეიძლება ნაკლებად მწვავე პრობლემა იყოს სანიმუშე ქვეყნებში (ძირითადად, OECD-ის წევრი სახელმწიფოები).

პოლიტიკის შეფასების ტიპოლოგია ასევე დამოკიდებულია პოლიტიკის ინტერვენციების ტიპებზე, რომლებიც კლასიფიცირდება მოსაგვარებელი პრობლემის მახასიათებლების შესაბამისად (პრობლემის მნიშვნელობა, პრობლემაზე რეაგირებისთვის საჭირო რესურსები, ფარგლები, სამიზნე მოსახლეობა და სხვა). ეს კლასიფიკაცია შემდეგნაირად შეიძლება შეჯამდეს:

- **პოლიტიკა:** მოქმედების განსაზღვრული კურსი, რათა შესრულდეს კონკრეტული თემასთან დაკავშირებული ამოცანა, რომელიც სახელმძღვანელო პრინციპებში, სტრატეგიულ მიზნებსა და მოქმედებებში აისახება.
- **გეგმა:** პროგრამათა ინტეგრირებული ერთობლიობა, რომლის მიზანია ამოცანებისა და მიზნების მიღწევაზე რეაგირება. მიზნები მიიღწევა მოკლე, საშუალო და გრძელვადიან პერიოდში და მოიცავს გამოყოფილ რესურსებს.
- **პროგრამა:** ურთიერთდაკავშირებული პროექტების ერთობლიობა, რომელიც კონკრეტული და საერთო ამოცანების მიღწევაზეა ორიენტირებული.
- **პროექტი:** აქტივობათა ერთობლიობა, რომელიც მიზნად ისახავს კონკრეტული ამოცანების შესრულებას, მოცემული ბიუჯეტით და დათქმულ პერიოდში; იგი, ძირითადად, ორიენტირებულია საქონლისა და სერვისების წარმოებაზე.

პოლიტიკის შეფასების სისტემასთან დაკავშირებული ძირითადი გამოწვევები და მათი მართვა

აღიარებულია, რომ პოლიტიკის შეფასების სისტემის შემუშავებისას ქვეყნების წინაშე ასეთი გამოწვევებია: (1) საერთო-სახელმწიფოებრივი სტრატეგიის შემუშავება; (2) ადამიანური რესურსები (პოტენციალი და შესაძლებლობები); (3) პოლიტიკური ინტერესი და პოლიტიკის შეფასების მოთხოვნა; (4)

პოლიტიკის შეფასებისთვის საჭირო ფინანსური რესურსები და (5) მონაცემთა ხელმისაწვდომობა და ხარისხი.

2018 წელს ჩატარებული OECD-ის კვლევის თანახმად, მთავრობის მხრიდან შეფასების ხელშეწყობისას ქვეყნების მთავარი პრობლემაა **სტრატეგიის არარსებობა, რაც ხელს შეუწყობს პოლიტიკის შეფასებისადმი ერთიანი სახელმწიფოებრივი მიდგომის ჩამოყალიბებას** ([ნახ. 1.8](#), თავი 1). ინსტიტუციონალიზაციის პროცესი მოიცავს აქტორების ფართო სპექტრს, რომელთაგან ბევრი შესაძლებელია პოლიტიკის ცვლილებების მიმართ ინერტულიც კი იყოს და შეფასების პროცესში მონაწილეობის ინტერესი არ გააჩნდეს. ეფექტური მითითებების გარეშე, მაგალითად, როგორცაა მანდატი, დრო და რესურსები, სახელმწიფო ორგანიზაციებმა შეიძლება ვერ შეძლონ კოორდინირებული გადაწყვეტილებების მიღება და საერთო ხელვაზე, მისიასა და საერთო მიზნებზე შეთანხმება, რომლებიც აუცილებელია პოლიტიკის შეფასების სისტემის შექმნისთვის ([Cinar, Trott and Simms, 2018\[65\]](#)). ინსტიტუციონალიზაციას ასევე შესაძლებელია ხელი შეუწყოს გარე დაინტერესებულ მხარეთა - მოქალაქეებისა და აკადემიური წრეების - ჩართულობამ, რომელთა მონაწილეობა დამოკიდებულია სახელმწიფოს მიერ შეფასების ინსტიტუციონალიზაციის პროცესში მათთვის მინიჭებულ მანდატზე ([Viñuela, Ortega and Gomes, 2015\[66\]](#)).

მეორე ფაქტორად ქვეყნები გამოყოფენ **ადამიანურ რესურსებს - მათ პოტენციალსა და შესაძლებლობებს, რაც პოლიტიკის შესაფასებლად საჭირო**. ეს, ნაწილობრივ, უკავშირდება იმ ფაქტს, რომ საჯარო მოხელეებს არ აქვთ დრო შეფასების ახალი პრაქტიკის ასათვისებლად, განსაკუთრებით, თუ ეს პრაქტიკა უშუალოდ არ უკავშირდება მათ პრიორიტეტულ ამოცანებს ([Cinar, Trott and Simms, 2018\[65\]](#)), ([Bossuyt, Shaxson and Datta, 2014\[67\]](#)).

რესპონდენტების აზრით, მესამე მნიშვნელოვანი გამოწვევაა **დაბალი პოლიტიკური ინტერესი და მოთხოვნილება პოლიტიკის შეფასების მიმართ**. მმართველობის რეფორმათა წარმატების მთავარი ფაქტორია მიზანმიმართული ძალისხმევა მაღალ პოლიტიკურ დონეზე ([OECD, 2018\[2\]](#)). დიდი პოლიტიკური ინტერესისა და პოლიტიკის შეფასებისადმი მოთხოვნის გარეშე რთულია საჯარო მოხელეთა წახალისება, რომლებიც, ჩვეულებრივ, დაკავებულნი არიან ყოველდღიური ვალდებულებებით. ასევე რთულდება შუამავლების (knowledge broker), შეფასებასთან დაკავშირებული ინფორმაციის გადამცემი და მისი ადვოკატირების გამწვან პირთა - გადაწყვეტილებების მიმღებ პირებსა და საჯარო მოხელეებთან ერთად - ჩართვა იმ დავალებების შესრულებაში, რომლებიც მათი პასუხისმგებლობის სფეროს სცდება ([Liverani, Hawkins and Parkhurst, 2013\[68\]](#)). შეფასების მოთხოვნამ შეიძლება მანკიერ წრეზე იტრიალოს: მოთხოვნა არ არსებობს შეფასების არასაკმარისი ცოდნისა და მიზნის არქონის გამო, რასაც, თავისთავად, განაპირობებს შეფასების მწირი პრაქტიკა დაბალი მოთხოვნის გამო ([Mackay, 2007\[58\]](#)).

კიდევ ერთი გამოწვევაა **ფინანსური რესურსები**. პოლიტიკის შეფასების დანერგვა საჭიროებს ფინანსებს და შრომატევადი პროცესია. მიუხედავად იმისა, რომ არაწინააღმდეგობრივი მონაცემების წარმოება და შედეგების გავრცელება მნიშვნელოვან როლს ასრულებს ინსტიტუციონალიზაციის ხელშეწყობის პროცესში ([Maeda, Harrit and Mabuchi, 2012\[69\]](#)), ის მოითხოვს თანმიმდევრული შეფასების მეთოდებისა და საკომუნიკაციო საშუალებათა გამოყენების შესაძლებლობას და დროს ([Zida et al., 2017\[70\]](#)).

დაბოლოს, სახელმწიფო უწყებებსა და დეპარტამენტებში **მონაცემთა შეზღუდული ხელმისაწვდომობა და ხარისხი** შეიძლება ასევე მნიშვნელოვან გამოწვევად იქცეს. მონაცემები სტრატეგიული აქტივია პოლიტიკის შემუშავების, მომსახურების მიწოდებისა და მთავრობის აპარატის მუშაობის გაუმჯობესების

თვალსაზრისით. ამის მიუხედავად, მონაცემთა სტრატეგიული გამოყენებისა და ხარისხის უზრუნველსაყოფად, საჭიროა ადამიანური და ტექნიკური შესაძლებლობები, განსაკუთრებით, საჯარო მოხელეთა სურვილი, გამოიყენონ მონაცემები; ასევე, მონაცემთა ანალიტიკურ ინსტრუმენტებში ინვესტირება (van Ooijen, Ubaldi and Welby, 2019[71])

ქვეყნების მიერ მითითებული ეს ოთხი ძირითადი პრობლემა - გარკვეული ხარისხით და ინსტიტუციური კონტექსტიდან გამომდინარე - ურთიერთდამოკიდებულია. ადამიანური რესურსების ნაკლებობამ, შესაძლებლობებისა და უნარების თვალსაზრისით, შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს შეფასების ხარისხზე. შეფასების ხარისხს შეუძლია ზეგავლენა იქონიოს მისი შედეგების გამოყენებაზე. გარდა ამისა, აღნიშნული ელემენტების გათვალისწინებით, მარტივი ამოცანა არ არის კომპლექსური და ეროვნული დონის სტრატეგიის შემუშავება, რომელიც პოლიტიკის შეფასებას შეუწყობს ხელს. შესაბამისად, აუცილებელი ხდება სისტემური მიდგომის გამოყენება პოლიტიკის შეფასების ხელშეწყობის მიმართ.

ამდენად, პოლიტიკის შეფასება პოლიტიკურ ციკლში ხშირად ყველაზე სუსტი რგოლია, მიუხედავად მზარდი ინტერესისა მისი წვლილის მიმართ სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავებასა და განხორციელებაში. ამის განმაპირობებელ მრავალ მიზეზს შორის - რომელთა ნაწილი ზემოთაა წარმოდგენილი, უპირველესია ის, რომ ზოგ ქვეყანას შეფასების ჩატარებაში ტექნიკური ბარიერები უშლის ხელს. ასეთია გამოწვევები, რომლებსაც მთავრობა აწყდება გადამოწმებადი, ზუსტი, გამოყენებადი და ობიექტური მონაცემების შექმნისა და გაზიარებისას საჯარო ადმინისტრირების ფარგლებში და მის გარეთ (Rutter, 2012[52]).

პოლიტიკის შეფასების უნარებისა და კომპეტენციების გაგება

OECD-მ და ევროკომისიის ერთობლივმა კვლევითმა ცენტრმა შეიმუშავეს შესაბამისი უნარებისა და კომპეტენციების დიაგრამა, ქვეყნების გამოცდილებიდან გამომდინარე, რათა შეიმუშაონ მტკიცებულებებზე დაფუძნებული პოლიტიკა. ქვემოთ მოცემული **ჩარჩო 3.26** აღნიშნული უნარების ნაკრებს ასახავს. (დიაგრამა დეტალურად განხილულია OECD-ს ანგარიშში *მტკიცებულებებზე დაფუძნებული პოლიტიკის შემუშავებისთვის შესაძლებლობათა განვითარების შესახებ*, რომელიც მომზადების პროცესშია).

ჩარჩო 3.26. მტკიცებულებებზე დაფუძნებული პოლიტიკის შესამუშავებლად საჭირო უნარების ნაკრები

წარმოდგენილი უნარების ნაკრები განისაზღვრება, როგორც საჯარო სამსახურის გასაუმჯობესებლად საჭირო უნარების ერთობლიობა და არა როგორც უნარების სრული ნუსხა, რომლებსაც უნდა ფლობდეს თითოეული საჯარო მოხელე. უნარების ეს ნაკრები არ ვრცელდება ერთ სცენარზე. მას აქვს ყოვლისმომცველი ხასიათი და შესაძლებელია მისი მრავალჯერადი გამოყენება. ის მოიცავს ისეთ ელემენტებს, როგორიცაა კრიტიკული აზროვნება, სისტემური აზროვნება და დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობა. უნარების ნაკრები მოიცავს ექვს ჯგუფს, რომლებიც ქვემოთაა წარმოდგენილი:

ცხრილი #1: მტკიცებულებებზე დაფუძნებული პოლიტიკის კომპეტენციები

<p>მტკიცებულებებზე დაფუძნებული პოლიტიკის შემუშავების გაგება - გადაწყვეტილების მიმღები პირები აცნობიერებენ მტკიცებულებების როლს და მის ადგილს პოლიტიკის შემუშავების ციკლში და ასევე მტკიცებულებების გამოყენებასთან დაკავშირებულ გამოწვევებსა და შესაძლებლობებს.</p>	<p>მტკიცებულებების მოპოვება - ამ უნარის მქონე გადაწყვეტილებების მიმღებ პირებს აქვთ პოლიტიკის სფეროში არსებულ მტკიცებულებათა შეგროვების უნარი. მათ ასევე შეუძლიათ მტკიცებულებებთან დაკავშირებული ხარვეზების კრიტიკული ანალიზი და ამ ხარვეზების აღმოსაფხვრელად მაღალხარისხიანი მტკიცებულებების მოპოვება.</p>
<p>მტკიცებულებებთან დაკავშირებული კითხვების დასმა და მტკიცებულებების შეფასება - გადაწყვეტილების მიმღები პირებს შეუძლიათ მტკიცებულებების სანდოობისა და მიზანშეწონილობის შეფასება. მათ ქვთ უნარი დასვან კითხვები მტკიცებულებებთან დაკავშირებით მათი ხარისხისა და კონტექსტის კრიტიკული შეფასების საფუძველზე, რომელსაც იყენებენ სხვადასხვა მეთოდებს ვარაუდების შემოწმებისა და მიკერძოებულობის გამორიცხვის მიზნით.</p>	<p>მტკიცებულებების გამოყენება პოლიტიკის შემუშავებისას - გადაწყვეტილების მიმღები პირებს შეუძლიათ პოლიტიკური კონტექსტის გაგება და განსაზღვრავენ, თუ როგორ უნდა გამოიყენონ მტკიცებულებები პოლიტიკის შემუშავების ციკლში. მათ იციან ისეთი ინოვაციური მეთოდების გამოყენება, როგორებიცაა ქცევითი ასპექტების გათვალისწინება გადაწყვეტილებების მიღების პროცესში და წინასწარ განჭვრეტა, პოლიტიკის ხელშეწყობის მიზნით.</p>
<p>დაინტერესებულ მხარეებთან ერთად მტკიცებულებებზე დაფუძნებული პოლიტიკის შემუშავების პროცესში ჩართვა - გადაწყვეტილების მიმღებ პირებს ეს ეხმარება ჩართულობისა და კომუნიკაციის უნარების განვითარებაში, რაც მოიცავს სხვადასხვა ტიპის აუდიტორიისთვის ინფორმაციის მიწოდებას და სხვადასხვა დაინტერესებული მხარის ჩართვასა და მათ შთაგონებას, მონაწილეობა მიიღონ პროცესში.</p>	<p>მტკიცებულებებზე დაფუძნებული პოლიტიკის შემუშავების წარმატებულობის შეფასება - ამ უნარის მქონე გადაწყვეტილების მიმღები პირები აცნობიერებენ შეფასების სხვადასხვა მიდგომისა და ინსტრუმენტების პოტენციალს; ასევე იმას, რომ შეფასება პოლიტიკის ციკლის შემადგენელი ნაწილი უნდა იყოს და მიზნად ისახავდეს მტკიცებულებებზე დაფუძნებული პოლიტიკის შემუშავების პროცესის გაუმჯობესებასა და მასთან დაკავშირებით ინფორმაციის მიწოდებას.</p>

წყარო: Adapted from Building Capacity for Evidence Informed Policy Making: Lessons from country experiences, OECD (2020).

პოლიტიკის დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების გამოცდილება საქართველოში

პოლიტიკის დაგეგმვისა და კოორდინაციის სისტემის რეფორმა საქართველოში 2015 წლიდან მიმდინარეობს. რეფორმას საფუძვლად დაედო OECD/SIGMA-ს საჯარო მმართველობის პრინციპები.¹ 2016 წელს მიღებულ იქნა პირველი მეთოდოლოგიური სახელმძღვანელო დოკუმენტები ამ მიმართულებით, რომლებიც განახლდა SIGMA-ს საბაზისო კვლევის შედეგების საფუძველზე. საქართველოს მთავრობამ 2019 წელს მიიღო განახლებული რეგულაციები - პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავების, განხორციელების, მონიტორინგისა და შეფასების წესი, სახელმძღვანელო და 10 დანართი-ინსტრუქცია. აღნიშნული პაკეტი დეტალურად არეგულირებს პოლიტიკის დაგეგმვასთან დაკავშირებულ საკითხებს და ადგენს კონკრეტულ მოთხოვნებს შემუშავებული დოკუმენტების მიმართ.

მთავრობის დადგენილებით დამტკიცებული „პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავების, მონიტორინგისა და შეფასების წესის“ შესაბამისად, საქართველოში პოლიტიკის დაგეგმვისა და კოორდინაციის სისტემა ეფუძნება სამ ძირითად პრინციპს:

1. მტკიცებულებებზე დაფუძნებული პოლიტიკის შემუშავება;
2. შედეგებზე ორიენტირებული მართვა;
3. მთავრობის ერთიანი მიდგომა.²

არსებული რეგულაციებით, პოლიტიკის დოკუმენტებში მოიაზრება სამი სახის დოკუმენტი: კონცეფცია, სტრატეგია და სამოქმედო გეგმა. 2020 წლიდან, მთავრობის ახალი წესის თანახმად, პოლიტიკის ნებისმიერი დოკუმენტი უნდა აკმაყოფილებდეს ზემოაღნიშნული სახელმძღვანელოს სტანდარტებს. პოლიტიკის დოკუმენტების პროექტის შესაბამისობას სახელმძღვანელოსთან ადგენს საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია, რომელიც ამზადებს დასკვნას პროექტის კორექტირებასთან (საჭიროების შემთხვევაში) ან მთავრობისთვის დასამტკიცებლად წარდგენასთან დაკავშირებით.

აღნიშნული სახელმძღვანელო აგებულია პირველ თავში ჩამოთვლილი SIGMA-ს პრინციპების შესაბამისად და, ამდენად, ასახავს ყველა საჭირო ინდიკატორსა თუ მოთხოვნას ქართული პოლიტიკის დაგეგმვის სისტემისთვის.

სახელმძღვანელოს მიზანია, ჩამოაყალიბოს პოლიტიკის დაგეგმვისა და კოორდინაციის სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს მთავრობის შედეგებზე ორიენტირებული, ერთიანი მიდგომის დანერგვას, ევროპული საჯარო მმართველობის პრინციპების შესაბამისად; ამასთან, განსაზღვროს მინიმალური სტანდარტები პოლიტიკის დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასებისათვის, რომლებიც უნდა გავრცელდეს მთავრობისთვის დასამტკიცებლად წარდგენილ პოლიტიკის დოკუმენტებზე. სახელმძღვანელო პრაქტიკული ინსტრუქციებით დაეხმარება საჯარო მოხელეებს ხარისხიანი პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავებაში, ასევე, გაზომვადი, შედეგებზე ორიენტირებული მონიტორინგისა და

¹ <http://www.sigmaxweb.org/publications/Principles-ENP-Eng.pdf>

² პოლიტიკის დაგეგმვის, მონიტორინგის და შეფასების სახელმძღვანელო, გვ.1

შეფასების სისტემის ჩამოყალიბებაში. იგი ავრცობს პოლიტიკის დოკუმენტების სახეობებს (კონცეფცია, სტრატეგია, სამოქმედო გეგმა), იერარქიას და პრაქტიკული მაგალითებითა და წესებით ხსნის პოლიტიკის დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების ყველა ეტაპს.

IRC პოლიტიკის შეფასების ჰოლისტური ჩარჩო

შეფასების ჰოლისტური ჩარჩოს სახელმძღვანელო პრინციპები და ეთიკის სტანდარტები

წარმოდგენილი ჩარჩოს სახელმძღვანელო პრინციპები ასახავს ძირითად ღირებულებებს, რომლებსაც ეფუძნება მათი შეფასებები. ეს პრინციპები ურთიერთდაკავშირებულია და ერთმანეთს განამტკიცებს. ამდენად, ქმნის ერთიან ჩარჩოს, რომელსაც უნდა შეესაბამებოდეს შეფასებასთან დაკავშირებული სამუშაოს ყველა ასპექტი. აღნიშნული პრინციპები განსაზღვრავს, თუ რას უნდა ველოდოთ შეფასებაში ჩართული ჯგუფისგან, შეფასების პროცესისგან, პროდუქტებისა და მეთოდოლოგიისგან. ისინი შეესაბამება OECD/DAC-ის განვითარების დახმარების შეფასების პრინციპებსა (1991) და შეფასების სტანდარტებს (პირველადი დოკუმენტი, 2009). პოლიტიკისა და ოპერაციების შეფასების დეპარტამენტმა (IOB) ნებისმიერი შეფასებისას უნდა იხელმძღვანელოს შემდეგი პრინციპებით:

- **დამოუკიდებლობა** - მკვლევრის მოსაზრებებზე გავლენას არ უნდა ახდენდეს გარეგანი ზეწოლა და ინტერესთა კონფლიქტი. ორგანიზაციები ან ინსტიტუტები, რომლებსაც დავალებული აქვთ შეფასების ჩატარება, ან შეფასების ჯგუფის წევრები არ უნდა მონაწილეობდნენ შესაფასებელ ინტერვენციებში ან იმ პრინციპების შემუშავებაში, რომლებზე დაყრდნობითაც ხორციელდება შეფასება.
- **ობიექტურობა** - შეფასება უნდა ემყარებოდეს გადამოწმებულ ფაქტებს. მკვლევარმა ყველა ძალისხმევას უნდა მიმართოს, რომ მონაცემები, რომლებსაც ეყრდნობა შეფასება, არ მოიცავდეს რაიმე უზუსტობას. მკაფიოდ და ნათლად წარმოდგენილი ფაქტები უნდა ემიჯნებოდეს მოსაზრებებს.
- **გამჭვირვალობა** - შეფასება უნდა ჩატარდეს ისე, რომ დაინტერესებულმა და მესამე მხარეებმა შეძლონ თვალყურის დევნება. განსახილველი საკითხები, მონაცემთა ბაზა, კვლევის მეთოდები და დასკვნები მკაფიოდ და თვალსაჩინოდ უნდა იყოს წარმოდგენილი ანგარიშში.
- **ვალიდურობა** - უნდა გაიზომოს ის მაჩვენებლები, რაც ტექნიკური დავალების მიხედვით საჭიროებს შეფასებას ისე, რომ დაინტერესებული პირებისთვის გასაგები იყოს.
- **სანდოობა** - შეფასების შედეგები უნდა იყოს სტაბილური, რაც იმას ნიშნავს, რომ განმეორებითი შეფასების შემთხვევაში იგივე შედეგები და დასკვნები მიიღება.
- **პარტნიორობა** - განვითარების თანამშრომლობის კომპონენტის შეფასებისას, რამდენადაც ეს შესაძლებელია და არ ეწინააღმდეგება სხვა პრინციპებს, მასში მონაწილეობას მიიღებენ მიმღები ქვეყნების პარტნიორები. ყველა ძალისხმევა იქნება გამოყენებული პარტნიორი ქვეყნების დამოუკიდებელ მკვლევრებთან თანამშრომლობისთვის.

- **მიზანშეწონილობა** - შეფასება ტარდება მხოლოდ მონაცემთა ბაზისა და შესაბამისი მეთოდოლოგიის ხელმისაწვდომობის შემთხვევაში.
- **სისწორე** - შეფასებამ არ უნდა მიაყენოს ზიანი ცალკეულ პირებს.
- **ხარჯთეფექტურობა** - შეფასება უნდა ჩატარდეს რაც შეიძლება დაბალ ფასად, სხვა სახელმძღვანელო პრინციპების გათვალისწინებით.
- **გამოყენებადობა** - შეფასების შედეგად გამოტანილი დასკვნები და გამოკვეთილი საყურადღებო საკითხები ღირებული უნდა აღმოჩნდეს მათთვის, ვისთვისაც კვლევა ტარდება და, ამავდროულად, სთავაზობდეს გასატარებელ ზომებს, მათი შესაძლებლობების ფარგლებში.

შეფასება კვლევის ფორმაა, რის საფუძველზეც გამოითქმება მოსაზრებები. წმინდა აკადემიური კვლევისგან ის იმით განსხვავდება, რომ იძლევა დასკვნებს კონკრეტული ინტერვენციების შედეგებზე. ამრიგად, პოლიტიკის შეფასების პროცესში ჩართულ პირებს დიდი პასუხისმგებლობა ეკისრებათ დაინტერესებული მხარეების წინაშე. ეს თანაბრად ეხებათ როგორც შიდა, ისე გარე აქტორებს. აქედან გამომდინარე, შეფასების პროცესში ჩართულ პირთათვის სავალდებულოა საერთაშორისო დონეზე აღიარებული ეთიკის სტანდარტების დაცვა. შეფასების ჰოლისტური ჩარჩო ხელმძღვანელობს ქვემოთ წარმოდგენილი ეთიკის სტანდარტებით:

- **სხვა კულტურების გაგება და პატივისცემა** - ხშირად შეფასების პროცესში ჩართული პირები განსხვავებულ კულტურულ გარემოში მუშაობენ. აქედან გამომდინარე, მათ მოუწევთ ადგილობრივი კულტურული კონტექსტის გათვალისწინება ინტერვიუების ჩატარებისა და მონაცემთა შეგროვების სხვა ფორმების გამოყენებისას.
- **უნივერსალური ღირებულებები** - ზოგიერთი კულტურული ჩვეულება და პრაქტიკა შეიძლება არ ეთანადებოდეს ფუნდამენტურ უფლებებსა და თავისუფლებებს. შეფასების პროცესში ჩართულმა პირებმა სხვა კულტურებისადმი პატივისცემა კი უნდა გამოიჩინონ, მაგრამ არ უნდა უგულებელყონ გარკვეული კულტურული ღირებულებების გავლენა გენდერულ ურთიერთობებზე, უმცირესობებსა თუ სხვა სპეციფიკურ ჯგუფებზე. ასეთ შემთხვევებში მათ უნდა იმოქმედონ ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციისა და მასთან დაკავშირებული საერთაშორისო ხელშეკრულებების შესაბამისად.
- **სქესი** - შეფასებისას გასათვალისწინებელია ქალისა და მამაკაცის განსხვავებული როლები და გენდერული თანასწორობის მიზანი. შეფასების დაგეგმვისას და პროცესშიც აუცილებლად მხედველობაში მისაღებია გენდერული განსხვავებები, განსაკუთრებით, პოლიტიკის იმ მიმართულებებში, სადაც გენდერი ერთ-ერთი განზომილებაა ან შედეგს განსაზღვრავს.
- **ანონიმურობა და კონფიდენციალურობა** - შეფასების პროცესში ჩართულმა პირებმა პატივი უნდა სცენ ინფორმაციის მიმწოდებლების თხოვნას, რომ დაიცვან მათ მიერ მიწოდებული ინფორმაციის კონფიდენციალურობა. ამასთან, მიიღონ ზომები, რომ არ გამჟღავნდეს კონფიდენციალური ინფორმაციის წყარო.
- **პასუხისმგებლობა** - ბევრ ქვეყანაში მთავრობის მიმართ კრიტიკულ დამოკიდებულებას შეიძლება მძიმე გავლენა ჰქონდეს შეფასების პროცესზე, ადგილობრივი შემფასებლების მონაწილეობის შემთხვევაში. ობიექტური შეფასებისთვის არსებითია ასეთი რისკების დროულად გამოვლენა და მათი პრევენცია (მაგალითად, მკაფიოდ განსაზღვრული შეთანხმება, თუ ვინ აგებს პასუხს ანგარიშის შინაარსზე).
- **გამოტოვება** - შეფასების პროცესში ჩართულმა პირებმა შეიძლება მოიპოვონ ინფორმაცია, რომელიც არ არის მნიშვნელოვანი დასმულ კითხვებზე პასუხის გასაცემად, თუმცა მნიშვნელოვანია ანგარიშვალდებულებისა და შესწავლის ფუნქციის თვალსაზრისით. ასეთ შემთხვევაში, შეფასების გუნდის ხელმძღვანელს ურჩევენ იმის განსაზღვრას, ასახოს თუ არა ეს ინფორმაცია ანგარიშში და რა ფორმით.

- **ცალკეული პირების შეფასება** - შეფასებისას აქცენტი არ კეთდება ცალკეული პირების შეფასებაზე, თუმცა ანგარიშში წარმოდგენილი დასკვნები შეიძლება შეეხოს ხელმძღვანელის ლიდერულ ან მართვის უნარებს, ან სხვა პირად თვისებებს. შეფასების პროცესში ჩართულმა პირებმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რომ ამგვარი დასკვნები აბსტრაქტულად წარმოადგინონ და არ მოუხმონ ადვილად მიკვლევად ფაქტებს. დაეჭვების შემთხვევაში, მათ კონსულტაცია უნდა გაიარონ შეფასების გუნდის ხელმძღვანელთან.
- **კანონსაწინააღმდეგო ქმედებასთან დაკავშირებული მტკიცებულება** - შეფასება არ არის კანონიერების დასადგენად ჩატარებული გამოძიება. თუმცა, პროცესში შეიძლება გამოიკვეთოს კანონსაწინააღმდეგო ქმედება. ასეთ დროს შეფასების პროცესში ჩართულმა პირებმა შემთხვევა უნდა წარუდგინონ შეფასების გუნდის ხელმძღვანელს. თუ ამის საკმარისი მიზეზი არსებობს, ინფორმაცია მიეწოდება აუდიტის სამსახურს.

შეფასების ჰოლისტური ჩარჩოს ეტაპობრივი მართვა

ჰოლისტური ჩარჩო შეფასების პროცესს მართავს უკეთ შეფასების ცისარტყელა ჩარჩოს (BetterEvaluation Rainbow Framework) საფუძველზე. უკეთ შეფასების ჩარჩო (BetterEvaluation Rainbow Framework) გამოყოფს 7 ეტაპს. IRC შეფასების ჰოლისტური ჩარჩოს ეფექტური მართვის მიზნით, ჩარჩო მოიცავს რიგ შეკითხვებს, ანგარიშგების ფორმებსა და მეთოდებს, რომელზე შეთანხმებაც შეფასების პროცესის დაგეგმვისას მნიშვნელოვანია და შეფასების ჯგუფისთვის სასარგებლო აღმოჩნდება მუშაობის პროცესში. ეს გახლავთ შეფასების ეტაპობრივი მართვის ჩარჩო 3, რომელიც გამოიყენება შეფასების დასაგეგმად ან კონკრეტული ტიპის მეთოდზე ინფორმაციის წარმოსადგენად.

³ ჩარჩოს გაფართოებული ვერსია, სადაც წარმოდგენილია თითოეულ კითხვასთან დაკავშირებული პასუხის სხვადასხვა ვარიანტი ან სპეციფიკური მეთოდები, შეგიძლიათ ჩამოტვირთოთ ვებგვერდიდან: <http://betterevaluation.org/plan>

ფიგურა 1 შეფასების ეტაპობრივი მართვის ჩარჩო



1 - შეფასების მართვა

შეფასების ეტაპობრივი მართვის ჩარჩოს პირველ ეტაპზე უნდა გადაწყდეს, თუ ვინ ჩაატარებს კვლევას და ვინ მიიღებს მასთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებებს. ამ ეტაპზე მნიშვნელოვანია პასუხი გაეცეს ქვემოთ დასმულ კითხვებს:

- დაინტერესებულ მხარეთა იდენტიფიცირება და პროცესში ჩართვა: ვინ უნდა ჩაერთოს შეფასებაში? როგორ განისაზღვრება დაინტერესებული მხარეები და როგორ ჩაერთვებიან ისინი პროცესში?
- გადაწყვეტილების მიღების პროცესის განსაზღვრა: შეფასებასთან დაკავშირებით, ვის რა ტიპის გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილება ექნება? ვინ გასცემს შეფასებასთან დაკავშირებულ რჩევას და რეკომენდაციებს? რა პროცედურებს დაექვემდებარება გადაწყვეტილების მიღება?
- გადაწყვეტა, თუ ვინ ჩაატარებს კვლევას: რეალურად ვინ ჩაატარებს კვლევას?
- რესურსების განსაზღვრა და უზრუნველყოფა: რა რესურსები (დრო, ფული და ექსპერტიზა) იქნება საჭირო შეფასების ჩასატარებლად და როგორ მოხდება მათი მობილიზება? შიდა (მაგ., პერსონალის დრო) და გარე რესურსების განხილვა. სასურველია, შეფასებაში მონაწილეობდნენ დარგის ექსპერტიც/ებიც.
- ეთიკის და ხარისხის შეფასების სტანდარტების განხილვა: რა ჩაითვლება მაღალხარისხიან და ეთიკურ შეფასებად? როგორ გადაიჭრება ეთიკური საკითხები?
- დოკუმენტაციის მართვის პროცესები და შესაბამისი შეთანხმებები: დოკუმენტურად როგორ აღირიცხება შეფასების მართვის პროცესები და მიღწეული შეთანხმებები?
- შეფასების დაგეგმვასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის შემუშავება: რა უნდა გაკეთდეს შეფასების დაგეგმვისა და განხორციელებისთვის? დაგეგმვასთან დაკავშირებული რა დოკუმენტები უნდა შეიქმნას (შეფასების ჩარჩო, გეგმა, დიზაინი, სამუშაო გეგმა)?

- შეფასების განხილვა (მეტაშეფასება): როგორ მოხდება თავად შეფასების ექსპერტიზა მისი დაგეგმვის, განხორციელების პროცესისა და ანგარიშგებისას?
- შეფასების შესაძლებლობის განვითარება: როგორ შეიძლება ცალკეული პირების, ჯგუფებისა და ორგანიზაციების შესაძლებლობათა განვითარება შეფასების ჩატარებისა და გამოყენების კუთხით?

2. განსაზღვრა, თუ რა უნდა შეფასდეს

შეფასების ეტაპობრივი მართვის ჩარჩოს მეორე ეტაპზე აღიწერება, რა უნდა შეფასდეს და როგორ. აღნიშნულ ეტაპზე მნიშვნელოვანია გამოიკვეთოს შემდეგი საკითხები:

- პირველადი აღწერის შედეგა: კონკრეტულად რა ფასდება?
- შეფასების თეორიის/ლოგიკური მოდელის შემუშავება: განსაზღვრა იმის, თუ როგორ უნდა განხორციელდეს შეფასება (პროგრამის თეორია, ცვლილებების თეორია, ლოგიკური ჩარჩო)?
- პოტენციური გაუთვალისწინებელი შედეგების განსაზღვრა: რა არის შესაძლო არასასურველი შედეგები, რომელთა განხილვაც მნიშვნელოვანია შეფასებისას?

3. შეფასების საზღვრების დადგენა

შეფასების ეტაპობრივი მართვის ჩარჩოს მესამე ეტაპზე განისაზღვრება შეფასების პარამეტრები - თანხმდება მისი მიზნები, შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი კითხვები, გამოყენებული კრიტერიუმები და სტანდარტები. ამ ეტაპზე გასათვალისწინებელია:

- ძირითადი მიზნისა და მიზნობრივი მომხმარებლების განსაზღვრა: რა არის შეფასების ძირითადი მიზნები? ვინ არის ამ შეფასების ძირითადი მიზნობრივი მომხმარებელი?
- შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი კითხვების ჩამოყალიბება: რომელია მაღალი დონის შეკითხვები, რომლებსაც პასუხი უნდა გასცეს შეფასებამ? როგორ შეიძლება მათი ჩამოყალიბება?
- „წარმატების“ განსაზღვრა: როგორი უნდა იყოს ეფექტურობის შეფასების კრიტერიუმები და სტანდარტები? რომელი კრიტერიუმები და სტანდარტებია მნიშვნელოვანი? რა პროცესის გამოყენებაა საჭირო ამ საკითხებთან დაკავშირებით შეთანხმების მისაღწევად?

4. აქტივობების, აქტივობის შედეგების (outputs), ამოცანის შედეგების (outcomes), გავლენისა (impacts) და კონტექსტის (context) აღწერა

შეფასების ეტაპობრივი მართვის ჩარჩოს მეოთხე ეტაპზე გროვდება მონაცემები პროექტის/პროგრამის/პოლიტიკის აქტივობებზე, მათი ჩატარების კონტექსტსა და სხვადასხვა შედეგზე. პასუხი უნდა გაეცეს შემდეგ აღწერით კითხვებს:

- ნიმუში: შერჩევის რომელი სტრატეგიების გამოყენებით შეგროვდება მონაცემები?
- საზომების, ინდიკატორების ან რაოდენობრივი მაჩვენებლების გამოყენება: რა საზომები ან ინდიკატორები იქნება გამოყენებული? არსებობს ისეთი საზომები და ინდიკატორები, რომელთა გამოყენება შესაძლებელია, თუ საჭიროა ახალი საზომებისა და ინდიკატორების შემუშავება?

- მონაცემთა შეგროვება ან/და აღდგენა: როგორ შეაგროვებთ ან/და მიიღებთ მონაცემებს აქტივობების, აქტივობების შედეგების, ამოცანის შედეგების, კონტექსტისა და სხვა ფაქტორების შესახებ?
- მონაცემთა მართვა: როგორ მოახერხებთ მონაცემთა ორგანიზებას და შენახვას, როგორ უზრუნველყოფთ მათ ხარისხს?
- ხარისხობრივ და რაოდენობრივ მონაცემთა კომბინირება: როგორ მოახერხებთ ხარისხობრივ და რაოდენობრივ მონაცემთა კომბინირებას?
- მონაცემთა ანალიზი: როგორ გამოიკვეთება საერთო ტენდენციები რიცხვით ან ტექსტურ მონაცემებს შორის?
- მონაცემთა ვიზუალიზაცია: ვიზუალურად როგორ წარმოაჩინებთ მონაცემებს?

5. ამოცანის შედეგების (outcomes) და გავლენის (impacts) მიზეზების დადგენა

შეფასების ეტაპობრივი მართვის ჩარჩოს მეხუთე ეტაპზე მონაცემები გროვდება და ანალიზდება მიზეზ-შედეგობრივ კითხვებზე პასუხის გასაცემად იმასთან დაკავშირებით, თუ რამ გამოიწვია ამოცანის შედეგები და გავლენა. ამ ეტაპზე მნიშვნელოვანია შემდეგი:

- იმის შემოწმება, თუ რამდენად ამყარებს მიღებული შედეგები კაუზალურ დაშვებებს, რომელიც ინტერვენციის დაგეგმვისას განისაზღვრა: რამდენად ღგინდება, რომ ამოცანის შედეგები და გავლენები სწორედ ინტერვენციის შედეგადაა მიღებული?
- შედეგების შედარება კონტრფაქტორულ რეალობასთან: როგორ შეადარებთ ფაქტობრივ და კონტრფაქტორულ მონაცემებს - რა იქნებოდა ინტერვენციის გარეშე?
- შესაძლო ალტერნატიული განმარტებების გამოკვლევა: როგორ გამოიკვლევთ ალტერნატიულ განმარტებებს?

6. ერთი ან მეტი შემფასებლისგან მიღებული მონაცემების სინთეზირება

შეფასების ეტაპობრივი მართვის ჩარჩოს მეექვსე ეტაპი მოიცავს მონაცემთა კომბინირებას, რაც ეფუძნება ინტერვენციის ღირებულებისა და დადებითი შედეგების საერთო შეფასებას ან რამდენიმე შეფასებიდან მიღებულ მტკიცებულებათა შეფასებას. ამ მიზნით, ცხადი წარმოდგენა უნდა გვექონდეს შემდეგზე:

- ერთი შეფასებიდან აღებულ მონაცემთა სინთეზირება: როგორ შეძლებთ ერთი შეფასებიდან აღებული მონაცემების სინთეზირებას?
- სხვადასხვა შეფასებიდან აღებულ მონაცემთა სინთეზირება: საჭიროა თუ არა სხვადასხვა შეფასებიდან აღებულ მონაცემთა სინთეზირება? თუ კი, როგორ უნდა გაკეთდეს ეს?
- მიღებული დასკვნების განზოგადება: როგორ განაზოგადებთ შეფასებით მიღებულ დასკვნებს, რათა მომავალში გამოიყენოთ პოლიტიკის სხვა ინტერვენციებთან მიმართებით?

7. დასკვნების ანგარიშგება და მათი გამოყენების ხელშეწყობა

შეფასების ეტაპობრივი მართვის ჩარჩოს მეშვიდე, დამასრულებელი ეტაპი ეძღვნება დასკვნების შემუშავებას და იმგვარად წარმოდგენას, რომ გამოადგეს შეფასების მიზნობრივ მომხმარებელს და სასარგებლო აღმოჩნდეს მომავალშიც. სწორედ ამიტომ მნიშვნელოვანია პასუხი გაცეც ქვემოთ შემოთავაზებულ კითხვებს:

- ანგარიშგებასთან დაკავშირებული მოთხოვნების განსაზღვრა: ანგარიშგებისათვის რა ვადა და ფორმატია საჭირო?
- ანგარიშგების საშუალებების შემუშავება: ანგარიშგების რა ფორმატი იქნება მისაღები მომხმარებლისთვის?
- ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა: რა გზით გავხადოთ ანგარიში მარტივად ხელმისაწვდომი და გამოსაყენებელი მომხმარებელთათვის?
- რეკომენდაციების შემუშავება: შეფასება მოიცავდეს თუ არა რეკომენდაციებს? ვინ და როგორ შეიმუშავებს რეკომენდაციებს?
- გამოყენების ხელშეწყობა: შეფასების პროცესში სამიზნე მომხმარებლის ჩართვის გარდა, კიდევ რა გზით შეუწყობთ ხელს კვლევის დასკვნების გამოყენებას?

IRC პოლიტიკის ჰოლისტური ჩარჩო პოლიტიკის შეფასების მეთოდოლოგიასა და შესაბამის ინსტრუმენტები


IRC პოლიტიკის ჰოლისტური ჩარჩო შეფასებას აფუძნებს პოლიტიკის წარმოების ციკლის ეტაპებს და ხელმძღვანელობს ქვემოთ შემოთავაზებული შემდეგი ტიპის შეფასებებით (ფიგურა #1):

1. **შეფასება ინტერვენციების დონეზე (input level)** - მოიცავს პოლიტიკის ინიციატივების/ინტერვენციების განხორციელებისათვის გამოყენებულ რესურსებს: ადამიანური რესურსები, ფინანსები, დრო, ტექნიკა და ა.შ. (OECD, 2016[43]).
2. **შეფასება პროცესის დონეზე (process level)** - მოიცავს აქტივობებს, რომლებიც შესრულდა პოლიტიკის გატარების განმავლობაში (OECD, 2016[43]).
3. **შეფასება აქტივობის შედეგის დონეზე (output level)** - გულისხმობს პოლიტიკის გატარების საფუძველზე დამდგარი პირველადი - აქტივობის დონის - შედეგების შეფასებას, რომელიც მოიცავს პოლიტიკის გატარებით მიღებულ კონკრეტულ პროდუქტებს (OECD, 2016[43]).
4. **შეფასება ამოცანის შედეგის დონეზე (outcome level)** - გულისხმობს პოლიტიკის ინიციატივების/ინტერვენციების საშუალოვადიანი - ამოცანის დონის - შედეგების შეფასებას, რომელიც პოლიტიკის განხორციელების საფუძველზე დგება (OECD, 2016[43]).
5. **შეფასება გავლენის დონეზე (impact level)** - გულისხმობს პოლიტიკის ინიციატივების/ინტერვენციების გრძელვადიანი შედეგების შეფასებას (OECD, 2016[43]).

აღნიშნულიდან გამომდინარე შეფასებს ჰოლისტური ჩარჩო ეფუძნება შეფასების 3 დონეს:

1. **პოლიტიკის დაგეგმვის პროცესი - პოლიტიკის ინტერვენციების შეფასება**
2. **პოლიტიკის განხორციელებისა და მონიტორინგის პროცესი - სამოქმედო გეგმის შესრულების შეფასება**
3. **პოლიტიკის შეფასების პროცესი - პოლიტიკის შედეგების და გავლენის შეფასება**

დიაგრამა #1: IRC პოლიტიკის შეფასების ჰოლისტური ჩარჩოს დონეები



თითოეული დონიდან გამომდინარე, ჰოლისტურ ჩარჩოში წარმოდგენილია შესაბამისი შესაფასებელი ერთეულები (მაგ. მიზანი, ამოცანა, სამოქმედო გეგმა, ალტერნატივები, ბიუჯეტი და ა.შ.), რომლებიც შეირჩევა შეფასების ობიექტიდან გამომდინარე (რა ფასდება, სტრატეგია, სამოქმედო გეგმა, პროგრამა, პროექტი თუ შესრულების რომელიმე ტიპის ანგარიში). მაგალითად, სტრატეგიული გეგმის შესაფასებლად აუცილებელი იქნება ისეთი ერთეულების შეფასება როგორცაა პრიორიტეტები, კოორდინაცია, მიზანი, ამოცანა, ინდიკატორები და ა.შ., პროცესის შეფასების დონეზე, ე.წ. მაფორმირებელი შეფასების აუცილებელი კომპონენტები იქნება შედეგები, შედეგების შესრულების დონე, მონიტორინგის ანგარიშის ელემენტები და სხვა).

შეფასების ჯგუფი შერჩეულ ერთეულებს აფასებს აღნიშნული პუბლიკაციაში დანართის სახით წარმოდგენილი კითხვების საფუძველზე. ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ აღნიშნული კითხვები, თავისი არსით, კი/არა პასუხზე გამავალი კითხვებია და მათი უმთავრესი დანიშნულებაა იმის დადგენა, დასტურდება თუ არა შეფასების შესაბამისი ელემენტების წინაშე წაყენებული ამა თუ იმ სტანდარტის არსებობა. ამ სტანდარტების წყარო, ერთი მხრივ, არის მოთხოვნები და რეკომენდაციები, რომლებიც განისაზღვრება 2019 წლის 20 დეკემბრის 629-ე ბრძანებით პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავების, მონიტორინგისა და შეფასების წესის დამტკიცების შესახებ; მეორე მხრივ კი, საერთაშორისო პრაქტიკა. შესაფასებელი ერთეულების პირობებში წარმოდგენილი კითხვების ნაწილის შემთხვევაში შეფასების განმახორციელებელ ჯგუფს საშუალება ეძლევა შეაფასოს შესაფასებელი ერთეულის ფარგლებში წარმოდგენილი ელემენტების რელევანტურობაც. ამდენად, ჯგუფს მეტი პასუხისმგებლობა ეკისრება და აუცილებელია მასში ისეთი ადამიანების ჩართვა, რომლებსაც აქვთ შესაფასებელი პოლიტიკის სექტორული ცოდნა, გამოცდილება და ექსპერტიზა. თუმცა, სასურველია, რომ შეფასების ჯგუფს ისიც ჰქონდეს გაცნობიერებული, რომ მხოლოდ ერთი ექსპერტის მონაწილეობა ჯგუფური ფსიქოლოგიის ზეგავლენის ქვეშ აღმოჩენის განმაპირობებელი არ აღმოჩნდეს და ერთზე მეტი დარგობრივი ექსპერტის ინტეგრირება მოახდინოს.

შეფასების ნებისმიერ დონეზე წარმოდგენილ ელემენტებს, ასევე მათ შესაფასებლად შემოთავაზებულ კითხვებს შორის ურთიერთმიმართება თანაბარპროპორციულია და არ გამოიყენება მნიშვნელობის მიხედვით განსაზღვრული წონები. ეს გადაწყვეტილება განპირობებულია რამდენიმე ფაქტორით: 1. შეფასების შერჩეულ დონეზე სასურველია არსებობდეს შესაფასებელი ელემენტების მოქნილი სისტემა, რომელშიც შესაძლებელი იქნება რაიმე ელემენტის დამატება, ან იგნორირება, კონკრეტული საჭიროებიდან გამომდინარე - შესაფასებელი ელემენტების ფიქსირებული სისტემა შეიძლება ნაკლებად

რეალისტური აღმოჩნდეს; 2. ჰოლისტური ჩარჩოს შესაფასებელი ობიექტების ფართო სპექტრიდან გამომდინარე (დროის თუ დოკუმენტაციის დონეზე), შესაძლებელია ფასდებოდეს 629-ე დადგენილების მიღებამდე შემუშავებული, განხორციელებული და დასრულებული ინტერვენციები, რის გამოც, რიგ შემთხვევებში, შეფასებაში შეიძლება ვერ ინტეგრირდეს 629-ე დადგენილებით განსაზღვრული რომელიმე ელემენტი; 3. 629-ე დადგენილებით განსაზღვრული პოლიტიკის დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების დოკუმენტაციის წარმოების მოთხოვნები არ ვრცელდება პოლიტიკის იმ დოკუმენტაციასთან მიმართებით, რომელიც არ ექვემდებარება მთავრობის მიერ დამტკიცებას. 4. შეფასების თითოეული ელემენტის შესაბამისი კითხვარი დეტალურია - კითხვები ისეა ჩაშლილი და დაკონკრეტებული, რომ იმთავითვე იძლევა შესაფასებელი ერთეულის ფარგლებში წარმოდგენილ კითხვებზე დადებითი პასუხების წილიდან გამომდინარე შეფასების კეთების შესაძლებლობას.

შეფასების ელემენტებსა და კითხვებს შორის თანაბარპროპორციულობის დაცვის მიუხედავად, ჰოლისტური ჩარჩოსთვის მაღალია თითოეული ელემენტის შეფასების გრადაციებზე გასვლის შესაძლებლობა: შესაფასებელი კითხვების პასუხებს შორის ურთიერთმიმართება დაიყვანება შეფასების ჰოლისტური ჩარჩოს 4 სკალიან სისტემაზე (შესაბამისობის სუსტი, საბაზისო, საშუალო და მაღალი დონე). მაგალითად, თუ რომელიმე შესაფასებელი ელემენტის შესაბამის კითხვებზე დადებით და უარყოფით პასუხებს შორის პროპორცია 56/44-ზეა (100%-იანი განაწილების პირობებში), დადებითი პასუხების 56% 4 სკალიან სისტემაზე საშუალო დონეს შეესაბამება.

ცხრილი #2: IRC შეფასების ჰოლისტური ჩარჩოს გრადაციები

0 - სუსტი	1 - საბაზისო	2 - საშუალო	3 - ძლიერი
0-10%	10>-<40%	40>-<70%	70>-<100%
0>-<1	1>-<4	4>-<7	7>-<10

IRC შეფასების ჰოლისტური ჩარჩოს დანართებში მითითებული კითხვები რელევანტურია როგორც ცალკეულ პოლიტიკასთან, ისე სტრატეგიასთან, სამოქმედო გეგმასთან, პროგრამასა და პროექტთან მიმართებით. პოლიტიკის ინტერვენციების შესაფასებლად, საჭიროა კონცეფციის, სტრატეგიული გეგმის, სამოქმედო გეგმის, პროგრამებისა და პროექტების გამოთხოვა, თუკი უწყებას/უწყებებს შესაბამისი ინფორმაცია არ აქვთ გამოქვეყნებული საკუთარ ვებგვერდზე. რიგი ინტერვენციების შეფასება, მაგალითად, პროგრამების, შესაძლებელია საკანონმდებლო მაცნეში გამოქვეყნებული, ბრძანებით დამტკიცებული დოკუმენტაციის საფუძველზე. იმ შემთხვევაში, როცა კითხვაზე პასუხი ერთზე მეტი ერთეულის შეფასებას მოითხოვს, დიან/არა პასუხი განისაზღვრება საერთო შეფასების საფუძველზე და განიმარტება შენიშვნაში. შიდა კონტექსტუალური შეფასების კრიტერიუმებში შესაფასებელი ერთეულის პირველ კითხვაზე უარყოფითი პასუხის გაცემა, ავტომატურად განაპირობებს ერთეულის სხვა კითხვებში უარყოფითი პასუხის დაფიქსირებას.

IRC შეფასების ჰოლისტური ჩარჩოს გამოყენებისას უნდა გათვალისწინებული იყოს შემდეგი ინსტრუქციით ხელმძღვანელობა - პირველ ეტაპზე უნდა განისაზღვროს შერჩეული შესაფასებელი ობიექტის შეფასების დონე, მოინიშნოს შესაფასებელი რელევანტური ერთეულები და შემდეგ პასუხი გაეცეს თითოეულ მათგანში მოცემულ კითხვებს. სისტემა თითოეულ ერთეულში ფიქსირებული პოზიტიური პასუხების წილიდან გამომდინარე ანიჭებს ერთეულს შეფასების ჰოლისტური ჩარჩოს 4 სკალიან სისტემაზე წარმოდგენილი დონიდან ერთ-ერთს (სუსტი, საბაზისო, საშუალო ან ძლიერი) და დაჯამების საფუძველზე ადგენს საერთო შეფასებას.

IRC პოლიტიკის შეფასების ჰოლისტური ჩარჩოს პირველი დონე

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია პოლიტიკის დაგეგმვისას ინტერვენციების დონეზე შეფასების ელემენტები, რომელთა შესაბამის კითხვარებზე (მოცემულია დანართში) დადებითი და უარყოფითი პასუხების თანაფარდობა ფასდება ჰოლისტური ჩარჩოს 4 სკალიანი სისტემით.

ცხრილი # 3: დონე - 1 - პოლიტიკის დაგეგმვის პროცესი - პოლიტიკის ინტერვენციების შეფასება

შეფასების ერთეულები	მისანიჭებელი ქულის გრადაცია	დონე/ხარისხი			
		სუსტი	საბაზისო	საშუალო	ძლიერი
		0	1	2	3
		0>-<1 0-10%	1>-<4 10>-<40%	4>-<7 40>-<70%	7>-<10 70>-<100%
პრიორიტეტები ხელვა საზოგადოებრივი ჩართულობა მთავრობის ერთიანი მიდგომა სიტუაციური/საჭიროებათა ანალიზი მიზანი ამოცანა კოჰერენტულობა ალტერნატივები სამოქმედო გეგმა აქტივობები ბიუჯეტი მონიტორინგის და შეფასების ჩარჩო კოორდინაცია სამუშაო პროცესი					

ამ დონეზევე შესაფასებელი ხდება შემდეგი გარე კონტექსტუალური კრიტერიუმები:

ცხრილი # 5 - გარე კონტექსტუალური შეფასების კითხვები

გარე კონტექსტუალური შეფასების კრიტერიუმები

რეაგირება - რამდენად პასუხობს შესაფასებელი ინტერვენცია საზოგადოებრივ დღის წესრიგს და საჭიროებებს?

რელევანტურობა - რამდენად რელევანტურია შესაფასებელი ინტერვენცია ფიქსირებულ პრობლემების მართვის კუთხით და აქვს მათი გადაწყვეტის პოტენციალი?

თანასწორობა/სამართლიანობა - რამდენად თანაბრად ვრცელდება ინტერვენციების სასურველი შედეგები ყველა ბენეფიციარზე ინტერვენციის დაგეგმვის პროცესში?

შმმპ/სსმპ გათვალისწინების დონე - რამდენადაა გათვალისწინებული შმმპ/სსმპ-ი ინტერვენციის დაგეგმვის პროცესში?

ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა გათვალისწინების დონე - რამდენადაა გათვალისწინებული ეთნიკური უმცირესობები ინტერვენციის დაგეგმვის პროცესში?

IRC პოლიტიკის შეფასების ჰოლისტური ჩარჩოს მეორე დონე

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია პოლიტიკის განხორციელებისას პროცესის დონეზე შეფასების ელემენტები, რომელთა შესაბამის კითხვარებზე (მოცემულია დანართში) დადებითი და უარყოფითი პასუხების თანაფარდობა ფასდება ჰოლისტური ჩარჩოს 4 სკალიანი სისტემით. ამ დონეზე წარმოდგენილია პოლიტიკის განხორციელებისას აქტივობის შედეგის დონეზე (output level) შეფასების ელემენტები და პოლიტიკის განხორციელებისას ამოცანის შედეგის დონეზე (outcome level) შეფასების ელემენტები.

ცხრილი # 6: დონე 2 - პოლიტიკის განხორციელებისა და მონიტორინგის პროცესი - სამოქმედო გეგმის შესრულების შეფასება

შეფასების ერთეულები	მისანიჭებელი ქულის გრადაცია	დონე/ხარისხი			
		სუსტი	საბაზისო	საშუალო	ძლიერი
~ ინდიკატორები		0	1	2	3
		0>-<1 0-10%	1>-<4 10>-<40%	4>-<7 40>-<70%	7>-<10 70>-<100%

სამიზნე მაჩვენებლები
 მონიტორინგის წინასწარ განსაზღვრული ჩარჩო
 მტკიცებულებების შეგროვების პერიოდულობა
 მონიტორინგის ანგარიშის წარმოება/გამოქვეყნება
 მონიტორინგის ანგარიშის ფორმების წარდგენა
 ინტერვენციების შესრულებლობის მიზეზები
 პრობლემებსა და გამოწვევებზე
 რეაგირება/გაუმჯობესების გეგმები
 აქტივობების შესრულების შეფასება
 ამოცანების შესრულების შეფასება
 ფინანსური რესურსების ხარჯვის შესახებ ინფორმაცია
 გარე აქტორების ჩართულობა
 დადასტურების წყაროები
 მონიტორინგის ანგარიშის ტექნიკური გამართულობა

ამ დონეზევე შესაფასებელი ხდება შემდეგი გარე კონტექსტუალური კრიტერიუმები:

ცხრილი # 7 - გარე კონტექსტუალური შეფასების კითხვები

გარე კონტექსტუალური შეფასების კრიტერიუმები

რეაგირება - რამდენად უპასუხა შესაფასებელმა ინტერვენციამ საზოგადოებრივ დღის წესრიგს და საჭიროებებს?

რელევანტურობა - რამდენად რელევანტური აღმოჩნდა შესაფასებელი ინტერვენცია ფიქსირებულ პრობლემების მართვის კუთხით და მოახდინა მათი გადაწყვეტა?

თანასწორობა/სამართლიანობა - რამდენად თანაბრად ვრცელდება ინტერვენციების სასურველი შედეგები ყველა ბენეფიციარზე ინტერვენციის მონიტორინგის პროცესში?

შმმპ/სსმპ გათვალისწინების დონე - რამდენადაა გათვალისწინებული შმმპ/სსმპ-ი ინტერვენციის მონიტორინგის პროცესში?

ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა გათვალისწინების დონე - რამდენადაა გათვალისწინებული ეთნიკური უმცირესობები ინტერვენციის მონიტორინგის პროცესში?

IRC პოლიტიკის შეფასების ჰოლისტური ჩარჩოს მესამე დონე

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია ამოცანის შედეგის დონეზე (outcome level) და გავლენის დონეზე (impact level) შეფასების ელემენტები, რომელთა შესაბამისი კითხვარის (წარმოდგენილია დანართში) დადებითი და უარყოფითი პასუხების თანაფარდობა ფასდება ჰოლისტური ჩარჩოს 4 სკალიანი სისტემით.

ცხრილი # 8: დონე 3 - პოლიტიკის შეფასების პროცესი - პოლიტიკის შედეგების და გავლენის შეფასება

შეფასების ერთეულები	მისანიჭებელი ქულის გრადაცია	დონე/ხარისხი			
		სუსტი	საბაზისო	საშუალო	ძლიერი
<p>ინდიკატორები</p> <p>სამიზნე მაჩვენებლები</p> <p>შეფასების წინასწარ განსაზღვრული ჩარჩო</p> <p>შეფასების მასშტაბი და კრიტერიუმები</p> <p>მტკიცებულებების შეგროვების პერიოდულობა</p> <p>შეფასების ანგარიშის წარმოება/გამოქვეყნება</p> <p>შეფასების ანგარიშის ფორმების წარდგენა</p> <p>მიზნების საერთო შესრულების შეფასება</p> <p>ამოცანების საერთო შესრულების შეფასება</p> <p>დათქმულ დროში მიზნებისა და ამოცანების მიღწევადობა</p> <p>მიზნების/ამოცანების შეუსრულებლობის მიზეზები</p> <p>პრობლემებსა და გამომწვევებზე რეაგირება/გაუმჯობესების გეგმები</p> <p>ეფექტიანობის შეფასება</p> <p>გავლენის შეფასების მეთოდოლოგია</p> <p>გარე აქტორების ჩართულობა</p> <p>დადასტურების წყაროები</p> <p>შეფასების ანგარიშის ტექნიკური გამართულობა</p>					
	0	1	2	3	
	0>-<1	1>-<4	4>-<7	7>-<10	
	0-10%	10>-<40%	40>-<70%	70>-<100%	

ამ დონეზევე შესაფასებელი ხდება შემდეგი გარე კონტექსტუალური კრიტერიუმები:

ცხრილი # 9 - გარე კონტექსტუალური შეფასების კითხვები

გარე კონტექსტუალური შეფასების კრიტერიუმები

რეაგირება - რამდენად უპასუხა შესაფასებელმა ინტერვენციამ საზოგადოებრივ დღის წესრიგს და საჭიროებებს?

რელევანტურობა - რამდენად რელევანტური აღმოჩნდა შესაფასებელი ინტერვენცია ფიქსირებულ პრობლემების მართვის კუთხით და მოახდინა მათი გადაწყვეტა?

თანასწორობა/სამართლიანობა - რამდენად თანაბრად ვრცელდება ინტერვენციების სასურველი შედეგები ყველა ბენეფიციარზე ინტერვენციის შეფასების პროცესში?

შმმპ/სსმპ გათვალისწინების დონე - რამდენადაა გათვალისწინებული შმმპ/სსმპ-ი ინტერვენციის შეფასების პროცესში?

ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა გათვალისწინების დონე - რამდენადაა გათვალისწინებული ეთნიკური უმცირესობები ინტერვენციის შეფასების პროცესში?

მნიშვნელოვანია ხაზი გაესვას იმ გარემოებას, რომ IRC შეფასების ჰოლისტური ჩარჩო როგორ შუალედური, ისე საბოლოო შეფასების განხორციელების პროცესში აღიარებს და აუცილებლობის სახით მოითხოვს, რომ შესაფასებელი კრიტერიუმების შემთხვევაში ქვევით შემოთავაზებული კრიტერიუმებიდან დაიფაროს პირველი ორი კრიტერიუმი.

აქტუალობა / საჭიროება/ მიზანშეწონილობა — რამდენად შეესაბამება (თავდაპირველი) მიზნები საჭიროებებსა და პრობლემურ საკითხებს?

ეფექტურობა — რა დონეზე ახდენს პოლიტიკა/პოლიტიკის ინტერვენციები წინასწარ განსაზღვრული სამიზნეების მიღწევას? რამდენად შეესაბამება შეფასებული შედეგები დასახულ მიზნებს?

ეფექტიანობა — რამდენად გამართლებულია გაწეული ხარჯები მიღწეული ცვლილებებისა და შედეგების ფონზე?

მდგრადობა — რამდენად უზრუნველყოფს პოლიტიკა/პოლიტიკის ინტერვენციები წმინდა სარგებელს გრძელვადიან პერსპექტივაში?

გავლენა/ზემოქმედება — რა შედეგები მოაქვს ინტერვენციებს (პოზიტიური თუ ნეგატიური, პირველადი და მეორადი გრძელვადიანი შედეგები, პირდაპირი ან არაპირდაპირი შედეგები, მოსალოდნელი ან მოულოდნელი)?


IRC შეფასების ჰოლისტური ჩარჩოს გამოყენების პროცესში გასათვალისწინებელი ფაქტორები

სასურველია, შეფასების ჯგუფმა ზედმიწევნით დაიცვას შეფასების ჰოლისტური ჩარჩოს ფარგლებში წარმოდგენილი კითხვარის გამოყენების დეტალური ინსტრუქცია, ვინაიდან კითხვებს შორის ბმა ძლიერია. მაგალითად, კითხვაზე - განსაზღვრულია თუ არა მიზანი? - პასუხი თუ უარყოფითია, ყველა სხვა დანარჩენი კითხვა, რომელიც მიზნიდან გამომდინარეობს, ავტომატურად უარყოფითი შეფასების საფუძველი ხდება. დადებითი პასუხის შემთხვევაში კი, შეფასების ჯგუფი ავტომატურად დგება იმის აუცილებლობის წინაშე, რომ გადავიდეს შემდეგ კითხვაზე, მაგრამ მორიგ ჯერზე უარყოფითი პასუხისას

დასაფიქრებელია, მიღებული უარყოფითი პასუხი ხომ არ გამორიცხავს შემდგომი კითხვებზე დადებით შეფასებას? (ამასთან დაკავშირებით ჩარჩოს ელექტრონულ პლატფორმაზე მოცემულია შესაბამისი ინსტრუქცია).

პროგრამული შეფასების შესაძლებლობა, არსებული პრაქტიკიდან გამომდინარე, უმეტესწილად ექვემდებარება შესაბამისი დადგენილებების საფუძველზე შეფასებას, რომელიც ხელმისაწვდომია საკანონმდებლო მაცნეზე და იძლევა ინტერვენციების დაგეგმვის პროცესის კონტროლის საშუალებას. თუმცა, თუ უშუალოდ პროცესისა და შედეგების შეფასების წინასწარ განსაზღვრული ჩარჩო არ არსებობს, შეფასების ჯგუფს მოუწევს დამატებითი დოკუმენტაციის გამოთხოვა, როცა ასეთი დოკუმენტაცია არაა ხელმისაწვდომი უწყებების ვებგვერდებზე. მათზე დაყრდნობით უნდა შეფასდეს პროცესი და, შესაბამისად, ყველა დონის შედეგები. გასათვალისწინებელი ის ალბათობაც, რომ შეფასების ჯგუფს შესაძლოა დასჭირდეს დამატებითი მეთოდებით IRC შეფასების ჰოლისტურ ჩარჩოში შეტანილი ელემენტების შესაფასებლად ინფორმაციის შეგროვება და ანალიზი, რათა მათი დასკვნები გამყარებული იყოს შესაბამისი მტკიცებულებებით. ასეთ შემთხვევაში, ჯგუფი დანართებში წარმოდგენილ კითხვებს იყენებს საორიენტაციოდ ნაკლები ინფორმაციის შევსებისა და გადამოწმების მიზნით.

პოლიტიკის შეფასების პროცესი კომპლექსურია. ამდენად, პოლიტიკის ჰოლისტურ ჩარჩოში აუცილებელ კომპონენტად შემოდის გარე კონტექსტუალური შეფასება (იმ ელემენტებთან ერთად, რომელთა შეფასებაც აუცილებელია პოლიტიკის შესაფასებელი დონიდან გამომდინარე). შესაბამისად, ჰოლისტური ჩარჩო მიჯნავს შიდა და გარე კონტექსტუალურ შეფასებებს. შიდა აფასებს შესაბამისი სამთავრობო უწყების პოლიტიკის წარმოებას დონეების მიხედვით, ხოლო გარე - ამავე სამთავრობო უწყების პოლიტიკის წარმოებას გარე აქტორების პერსპექტივით (ორივე შემთხვევაში პოლიტიკა ფასდება ინტერვენციების, პროცესის, აქტივობის შედეგის, ამოცანის შედეგისა თუ გავლენის დონეზე).



გარე კონტექსტუალური პერსპექტივით შეფასების ჰოლისტური ჩარჩოს სისტემას ემატება ასეთი სახის კრიტერიუმები:

1. **რეაგირება (responsiveness)** - რამდენად პასუხობს შესაფასებელი ინტერვენცია საზოგადოებრივ დღის წესრიგს და საჭიროებებს?
2. **რელევანტურობა (relevance)** - რამდენად რელევანტურია შესაფასებელი ინტერვენცია გამოვლენილი პრობლემების მართვის კუთხით და აქვს მათი გადაწყვეტის პოტენციალი?

3. **რეალისტურობა (feasibility)** - რამდენად რეალისტურია შესაფასებელი ინტერვენცია მის შესასრულებლად განსაზღვრულ ვადებთან მიმართებით?
4. **არსებულ საკანონმდებლო ჩარჩოსთან თავსებადობა** - რამდენად შეესაბამება შესაფასებელი ინტერვენცია არსებულ საკანონმდებლო ჩარჩოს?
5. **ახალი საკანონმდებლო ცვლილებების ალბათობა** - რამდენად საჭიროა ცვლილებები საკანონმდებლო დონეზე?
6. **თანასწორობა/სამართლიანობა** - რამდენად თანაბრად ვრცელდება ინტერვენციების სასურველი შედეგები ყველა ბენეფიციარზე ინტერვენციის დაგეგმვის/მონიტორინგის/შეფასების პროცესში?
7. **გენდერული თანასწორობის საკითხის გათვალისწინების დონე** - რამდენადაა გათვალისწინებული გენდერული თანასწორობის პრინციპი ინტერვენციის დაგეგმვის/მონიტორინგის/შეფასების პროცესში?
8. **შშმპ/სსმპ გათვალისწინების დონე** - რამდენადაა გათვალისწინებული შშმპ/სსმპ-ი ინტერვენციის დაგეგმვის/მონიტორინგის/შეფასების პროცესში?
9. **ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა გათვალისწინების დონე** - რამდენადაა გათვალისწინებული ეთნიკური უმცირესობები ინტერვენციის დაგეგმვის/მონიტორინგის/შეფასების პროცესში?

გასათვალისწინებელია, რომ პოლიტიკის ჰოლისტური მიდგომა აცნობიერებს პოლიტიკის ინტერვენციების შეფასების პროცესში სუბსტანციური/არსობრივი და არა პროცესუალური მნიშვნელობის შეფასების აუცილებლობას, რაც გამოიხატება ინტერვენციებისათვის შეფასებისთვის საჭირო რელევანტური, პოლიტიკის შესაბამისი სექტორული ან კროს-სექტორული, სპეციფიკური ინტერვენციების შეფასების აუცილებლობას. ამას უზრუნველყოფს მითითებები, ერთი მხრივ, სექტორში აღიარებული პოლიტიკის მართვის შესაბამის ინდიკატორებზე, ხოლო მეორე მხრივ, ინტერვენციების საუკეთესო პრაქტიკებზე, რაც აღნიშნული სახელმძღვანელოს დანართებშია მოცემული. სასურველია, რომ პოლიტიკის შეფასების ჰოლისტური ჩარჩოს შეფასების გუნდში ჩაერთოს შესაბამისი დარგის წარმომადგენელი/ები, რათა შეფასების კრიტერიუმებითა და ინდიკატორებით სათანადოდ შეფასდეს პოლიტიკის ინტერვენციის რელევანტურობა, ეფექტურობა, მდგრადობა, ეფექტიანობა, ხარჯსარგებლიანობა.

სამოქმედო გეგმის საერთო შესრულების შეფასება

სამოქმედო გეგმის შესრულება ფასდება შემდეგი პარამეტრებით:

ანალიზი: დაგეგმვისას გამოყენებულ პოლიტიკის დოკუმენტში, კონკრეტულად კი -სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებში - აკუმულირებული ინფორმაციის საფუძველზე.

საფუძველი: პოლიტიკის დოკუმენტები, რომლებიც განსაზღვრავს პოლიტიკას და მისი შესრულების შეფასებას.

შენიშვნა: მონიტორინგის პროცესის შესაფასებლად, საჭიროა სტატუსის, პროგრესის და წლიური ანგარიშების გამოთხოვა, თუკი უწყებას/უწყებებს ისინი არ აქვთ გამოქვეყნებული საკუთარ ვებგვერდზე, ვალდებულების მიუხედავად.

აქტივობების შესრულების დონე

განმარტება: დგინდება სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულ აქტივობათა შესრულების ხარისხით. კონტროლის მექანიზმად გამოიყენება სტატუსის ანგარიშები თითოეული აქტივობის დონეზე და საანგარიშო პერიოდისთვის დადგენილი სამიზნე ინდიკატორების შესრულების ხარისხი. **ანალიზი:** გამოითვლება ჯამურად, საანგარიშო პერიოდისთვის რელევანტურ აქტივობათა შესრულების დონის საშუალო მაჩვენებლების მითითებით. **საფუძველი:** სტატუსის და პროგრესის ანგარიშები

აქტივობების შესრულებაზე პასუხისმგებელ უწყებათა შესრულების დონე

განმარტება: დგინდება სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობების შესრულებაზე პასუხისმგებელ უწყებათა მუშაობის ხარისხით. კონტროლის მექანიზმად გამოიყენება სტატუსის ანგარიშები თითოეული აქტივობის დონეზე, შესაბამის უწყებათა მიხედვით, და საანგარიშო პერიოდისთვის დადგენილი სამიზნე ინდიკატორების შესრულების ხარისხი. **ანალიზი:** გამოითვლება ჯამურად, საანგარიშო პერიოდისთვის რელევანტურ აქტივობათა შესრულების საშუალო მაჩვენებლების მითითებით, უწყებების მიხედვით. **საფუძველი:** სტატუსის ანგარიშები

აქტივობების შესრულების ვადების დაცვა

განმარტება: დგინდება სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულ აქტივობათა შესრულების ვადებით - განისაზღვრება რამდენად დროულად შესრულდა აქტივობები. **ანალიზი:** გამოითვლება ჯამურად, საანგარიშო პერიოდისთვის რელევანტურ აქტივობათა შესრულების ვადების დაცვის საშუალო მაჩვენებლების მითითებით. **საფუძველი:** სტატუსის ანგარიშები

ამოცანების შესრულების დონე

განმარტება: დგინდება სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულ ამოცანათა შესრულების ხარისხით. კონტროლის მექანიზმად გამოიყენება პროგრესის და წლიური ანგარიშები რელევანტურ ამოცანათა შესრულების დონეზე და საანგარიშო პერიოდისთვის დადგენილი ამოცანის საკონტროლო სამიზნე ინდიკატორების შესრულების ხარისხი. **ანალიზი:** გამოითვლება ჯამურად, საანგარიშო პერიოდისთვის რელევანტური ამოცანების შესრულების საშუალო მაჩვენებლების მითითებით. **საფუძველი:** პროგრესის (6 თვე) და წლიური ანგარიშები (1 წელი)

ამოცანის შესრულების ვადების დაცვა

განმარტება: დგინდება სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულ ამოცანათა შესრულების ვადებით - განისაზღვრება, რამდენად დროულად შესრულდა ამოცანები. **ანალიზი:** გამოითვლება ჯამურად, საანგარიშო პერიოდისთვის რელევანტურ ამოცანათა შესრულების ვადების დაცვის საშუალო მაჩვენებლების მითითებით. **საფუძველი:** პროგრესის (6 თვე) და წლიური ანგარიშები (1 წელი)

პოლიტიკის გავლენის შეფასება

პოლიტიკის შესრულების შუალედური და საბოლოო დონე დგინდება შემდეგი პარამეტრებით:

შენიშვნა: შეფასებისას საჭიროა შუალედური და საბოლოო ანგარიშების გამოთხოვა, თუკი უწყებას/უწყებებს არ აქვს გამოქვეყნებული საკუთარ ვებგვერდზე, მიუხედავად ვალდებულებისა.

შეფასების მასშტაბი

განმარტება: დგინდება რამდენად ყოვლისმომცველია შეფასება, თუ ორიენტირებულია OECD-ის მიერ ჩამოყალიბებულ რამდენიმე კრიტერიუმზე; OECD-ის ჩამოყალიბებული შეფასების რომელ კრიტერიუმებს (შესაბამისობა, ეფექტურობა, ეფექტიანობა, მდგრადობა, გავლენა, თავსებადობა პოლიტიკის სხვა კურსებთან) ფარავს შეფასების ესა თუ ის ანგარიში და რამდენად დასაბუთებული და რელევანტურია მსგავსი არჩევანი. **ანალიზი:** ფასდება პასუხისმგებელი უწყების/უწყებების მოწოდებული ან ვებგვერდზე განთავსებული შეფასების ანგარიშებით. **საფუძველი:** შეფასების ანგარიშები (შუალედური და საბოლოო), რომლებშიც ასახულია ინფორმაცია მიღწეულ პროგრესზე, გავლენისა და ამოცანის შედეგების შესრულების დონეზე

პოლიტიკის მიზნებისა და ამოცანების შესრულების დონე (თითოეული მიზნისა და შესაბამისი ამოცანების შესრულების დონიდან გამომდინარე)

განმარტება: დგინდება სტრატეგიული გეგმით გათვალისწინებული ამოცანებისა და მიზნების შესრულების ხარისხით, საანგარიშო პერიოდისთვის მითითებული სამიზნე ინდიკატორების შესაბამისად. **ანალიზი:** გამოითვლება ჯამურად, საანგარიშო პერიოდისთვის რელევანტური მიზნებისა და ამოცანების საპირწონე გავლენის შესაბამის ინდიკატორთა შესრულების საშუალო მაჩვენებლების მითითებით. **საფუძველი:** შეფასების ანგარიშები

შეფასების მეთოდოლოგია

განმარტება: დგინდება, რა მეთოდოლოგიური მიდგომებით შეფასდა გავლენა: შეფასება დროის სერიების მიხედვით, პრე და პოსტ შეფასების სისტემა, შეფასება საკონტროლო ჯგუფების მონაწილეობით (შემთხვევითი თუ მაქსიმალური მისადაგების საფუძველზე შერჩეული ჯგუფების მიხედვით) თუ მონაწილეობის გარეშე? რამდენად გამოიყენეს კონტრაფაქტორული ანალიზის ელემენტები? რამდენად მიმართეს სხვადასხვა მეთოდის სინთეზირების შესაძლებლობას - მაგალითად, ისეთი მიდგომა, როგორცაა განსხვავება განსხვავებაში? და თუ მიმართეს, რა მეთოდი გამოიყენეს გავლენის შეფასების უმთავრეს მეთოდად? **ანალიზი:** ფასდება პასუხისმგებელი უწყების/უწყებების მოწოდებული ან ვებგვერდზე განთავსებული შეფასების ანგარიშებით. **საფუძველი:** შეფასების ანგარიშები (შუალედური და საბოლოო), რომლებშიც ასახულია ინფორმაცია მიღწეულ პროგრესზე, გავლენის შესრულების დონეზე.

წინასწარ დათქმულ დროში მიზნებისა და ამოცანების მიღწევა

განმარტება: დგინდება, რამდენად დროულად შესრულდა მიზნები და ამოცანები, გათვალისწინებული ვადებიდან გამომდინარე. **ანალიზი:** გამოითვლება ჯამურად, საანგარიშო პერიოდისთვის რელევანტური მიზნებისა და ამოცანების შესრულების ვადების დაცვის საშუალო მაჩვენებლების მითითებით, გამომდინარე იქიდან, შუალედურია თუ საბოლოო შეფასება. **საფუძველი:** შეფასების ანგარიშები (შუალედური და საბოლოო), რომლებშიც ასახულია ინფორმაცია მიღწეულ პროგრესზე, ამოცანებისა და გავლენის შესრულების დონეზე, დათქმულ ვადებთან მიმართებით.

პოლიტიკის შეფასების მეთოდოლოგია და მეთოდები

პოლიტიკის შეფასების სათანადო მეთოდის შერჩევა უდიდეს გავლენას ახდენს შეფასების ხარისხზე. შეფასების მეთოდის შერჩევამდე აუცილებელია იმის განმარტება, რომ განსხვავდება პოლიტიკის გატარების წინარე (ex-ante), პროცესის (process/monitoring) და შემდგომი შეფასების (ex-post) მოდელები.

განხორციელების შემდგომი შეფასების (ex-post) მოდელებში შეფასების მაღალხარისხიანი მეთოდი აგვარებს ატრიბუციის საკითხს (მიზეზ-შედეგობრივი კავშირი), კერძოდ, ხელს უწყობს იმის აღქმას, მიაღწია თუ არა პოლიტიკამ მოსალოდნელ შედეგებს და რა ხარისხით, რამდენად უკავშირდება აღნიშნული შედეგები და გავლენა ინტერვენციას. პოლიტიკის გატარების წინარე (ex-ante) შეფასების მოდელები ემსახურება, ერთი მხრივ, იმის იდენტიფიცირებას, რამდენად უნდა ვთქვათ უარი სტატუს კვოს შენარჩუნებაზე; მეორე მხრივ კი, ალტერნატიული ჩარევის განსაზღვრაზე საუკეთესო შედეგის მისაღწევად, თუკი სტატუს კვოს ცვლილება გადაწყდა. რაც შეეხება პროცესის შეფასებაზე ორიენტირებულ მოდელებს, მათი მთავარი მიზანი პროცესზე დაკვირვება, სამოქმედო გეგმის შესრულების ხარისხის კონტროლი და, საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავებაა.

წარმოდგენილ ცხრილში მიმოხილულია პოლიტიკის ინტერვენციის შეფასების სხვადასხვა მოდელი, მოკლე აღწერილობითი და შეფასების შესაბამისი ტიპის მითითებით.

დოკუმენტი/შედეგი	მოკლე აღწერა	შეფასების ტიპი
ხარჯთსარგებლიანობა	ადარებს პროგრამის/პროექტის ხარჯებსა და სარგებელს და ცდილობს საუკეთესო ბალანსის პოვნას.	პროცესის შეფასება. მიზნების შეფასება/შედეგები.
ხარჯთეფექტიანობა	ადარებს მოქმედების ალტერნატიულ გზებს, პროგრამის/პროექტის შერჩევის მიზნით, რომელიც აღწევს მიზნებს მინიმალური დანახარჯებით.	პროცესის შეფასება. მიზნების შეფასება/შედეგები.
ხარჯთუტილიტარულობა	ადარებს არა მხოლოდ ხარჯებსა და სარგებელს, არამედ ცხოვრების ხარისხის აღქმას ან სამიზნე მოსახლეობის სოციალურ გავლენას.	გავლენის შეფასება
ექსპერიმენტული კვლევები	მოიცავს ორი პოპულაციის შესაბამისობას: ჯგუფი პროგრამასთან/პროექტთან მიმართებით (ინტერვენციის ჯგუფი) და ჯგუფი პროგრამის/პროექტის გარეშე (საკონტროლო ჯგუფი). მიზანია პროგრამის/პროექტის შესრულებით გამოწვეული ცვლილებების განხილვა.	გავლენის შეფასება

კვაზიექსპერიმენტული კვლევები	ექსპერიმენტული მოდელის მსგავსი, თუმცა ჯგუფები არ შეირჩევა შემთხვევითობის პრინციპით. არსებობს არჩევანი მათ შორის, რომლებიც შედიან ერთ-ერთი ჯგუფის სამიზნე პოპულაციაში (მკურნალობა ან კონტროლი). მიზანი არის აგრეთვე პოპულაციებში გამოვლენილი ცვლილებების განხილვა.	გავლენის შეფასება
დოკუმენტური მეთოდები	მონაცემთა შეგროვების სტრატეგია, რომელიც მოიცავს სხვა მიზნებით ინფორმაციის გამოყენებას, როგორცაა სტატისტიკური მონაცემები ან თავად კონკრეტული ორგანოს მიერ წარმოებული მონაცემები ან/და სხვა წერილობითი დოკუმენტები.	პროცესის შეფასება. მიზნების შეფასება/შედეგები.
გამოკითხვის მეთოდები	ინტერვიუების, კითხვარებისა და მსგავსი მეთოდების გამოყენებით, ადამიანთა გამოკითხვა და მონაცემთა შეგროვების სტრატეგია	პროცესის შეფასება. მიზნების შეფასება/შედეგები. გავლენის შეფასება
დაკვირვების მეთოდები	მონაცემთა შეგროვების სტრატეგია, როდესაც მკვლევარი კვლევის ცენტრში ვიზიტისას თვითონ აკვირდება პროცესს. უშუალო დაკვირვებისას პროცესში მონაწილეობა ობიექტური მონაცემების შეგროვების წინაპირობაა.	პროცესის შეფასება. მიზნების შეფასება/შედეგები. გავლენის შეფასება
მეტაშეფასება	კვლევა, რომელიც აერთიანებს რიგი სხვა კვლევების შედეგებს. მისი გამოყენება ასევე შეიძლება შეფასების ხარისხის ან/და შემფასებელთა შესრულებული სამუშაოს ეფექტურობის შესაფასებლად.	მიზნების შეფასება/შედეგები. გავლენის შეფასება
ტრიანგულაცია	აღნიშნავს სხვადასხვა ზომის ან სხვადასხვა საზომი ინსტრუმენტის გამოყენებას ერთსა და იმავე ქმედების, მდგომარეობის ან საგნის შესახებ ინფორმაციის მისაღებად.	პროცესის შეფასება. მიზნების შეფასება/შედეგები. გავლენის შეფასება

წყარო:

აღნიშნული ცხრილიდან აქტიურად იკვეთება, რომ ზემოქმედების შეფასების მეთოდები, როგორც წესი, საიმედო კონტრფაქტობრივ ინფორმაციას ეყრდნობა და ითვალისწინებს ყველა იმ სხვა ფაქტორს, რომლებმაც შეიძლება დაკვირვებადი შედეგების გენერირება მოახდინოს პოტენციური გავლენის დადგენის პროცესში (Campbell and Harper, 2012[129]). გავლენის ანალიზისას იმის დადგენა, თუ რომელი მიდგომა არის უფრო შესაფერი, დამოკიდებული იქნება ღონისძიების რესურსების, მოქმედებების, აქტივობების შედეგების, ამოცანის შედეგებისა და გავლენის კომპონენტებს შორის ურთიერთდამოკიდებულების სირთულეზე.

ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში მოცემულია უშუალოდ პოლიტიკის ინტერვენციების გავლენის ანალიზისას გამოყენებული მეთოდები, რომლებიც გასათვალისწინებელი იქნება საქართველოს შემთხვევაშიც.

ცხრილი # 1: გავლენის შეფასების მეთოდები

შეფასების მეთოდი	აღწერა	შეზღუდვები
------------------	--------	------------

არაექსპერიმენტული		
პრე-პოსტი	ზემოქმედება იზომება როგორც პოლიტიკის ინტერვენციამდე და ინტერვენციის შემდგომი ცვლილება.	ფაქტორები, უშუალოდ ინტერვენციის მიღმა, რომლებსაც შეუძლიათ ზეგავლენა იქონიონ ბენეფიციართა შედეგებზე, გათვალისწინებული არ არის.
რეგრესიის წყვეტის პროექტირება	ინტერვენციის ბენეფიციარების რანგირება ხდება მოცემული გაზომვადი კრიტერიუმების შესაბამისად, ხოლო ზღვრული მნიშვნელობა განსაზღვრავს მათ მონაწილეობას პოლიტიკის ინტერვენციაში. ზღვრულ მნიშვნელობაზე ოდნავ უფრო მაღლა მყოფი ბენეფიციარის შედარდება ოდნავ უფრო დაბლა მყოფ მონაწილეს.	არსებობს რისკი, რომ ინდივიდუალური პირები ეცდებიან თავიანთი შედეგებით მანიპულირებას, რათა პოლიტიკის ინტერვენციის შედეგები მათთან მიმართებაში დადგეს, რაც მიკერძობას იწვევს. გარდა ამისა, გაზომვადი შედეგი არის მხოლოდ „ლოკალური“, რაც იმას ნიშნავს, რომ იგი სამართლიანია მხოლოდ იმ პირთათვის, ვინც ახლოს არიან გამყოფ ხაზთან.
ინსტრუმენტული ცვლადები	გავლენის დონის დადგენისას, ეფექტი იზომება „ინსტრუმენტული“ ცვლადის განსაზღვრით, რომელიც საინტერესო შედეგზე მხოლოდ ირიბ ზემოქმედებას ახდენს იმით, რომ განსაზღვრავს, მონაწილეობს თუ არა პირი პოლიტიკის ინტერვენციაში. ეს ინსტრუმენტი არ უნდა იყოს დაკავშირებული რომელიმე სხვა ფაქტორთან, რომელიც შედეგზე ახდენს ზემოქმედებას.	შედეგების სანდოობა დამოკიდებულია კარგი ინსტრუმენტის მოძიებაზე, ან ისეთი ინსტრუმენტის, რომელიც შედეგების პროგნოზირებას ახდენს მხოლოდ ინტერვენციაში მონაწილეობის მეშვეობით, რაც პრაქტიკაში რთული განსახორციელებელია.
ექსპერიმენტული		
მარტივი სხვაობა	პოლიტიკის ინტერვენციის ბენეფიციარებსა (ექსპერიმენტული ჯგუფი) და არაბენეფიციართა (საკონტროლო ჯგუფი) შედეგების შედარება პოლიტიკის გატარების შემდეგ.	შედეგები ობიექტური არ არის, თუ ბენეფიციარებსა და არაბენეფიციარებს პოლიტიკის გატარებამდე აქვთ არათანაბარი შანსი მისი შედეგების ზემოქმედების ქვეშ მოხვედრის და თუ ისინი, სტატუსის გარდა, სხვა პარამეტრებითაც განსხვავდებიან.
განსხვავებები განსხვავებებში	პოლიტიკის ეფექტი იზომება მის გატარებამდე და გატარების შემდეგ, ბენეფიციარების შედეგების ევოლუციის შედარებით არაბენეფიციართა შედეგებთან, ერთი და იმავე პერიოდის განმავლობაში.	ცდომილებას გამოიწვევს, თუ საკონტროლო ჯგუფი ფაქტობრივად არ ასახავს, რა შედეგი დადგებოდა ინტერვენციის გარეშე. საიმედო შედეგების მისაღებად ასევე მთელი დროის განმავლობაში დაკვირვებადი და არადაკვირვებადი განსხვავებების ანალიზი ორ ჯგუფს შორის მუდმივად უნდა ხორციელდებოდეს.
მრავლობითი წრფივი რეგრესია	ეს მეთოდი გულისხმობს ბენეფიციარებისა და არაბენეფიციარების შედეგების შედარებას და ორ ჯგუფს შორის დაკვირვებადი განსხვავებების კონტროლს, რასაც შეუძლია ზეგავლენა იქონიოს მათ შედეგებზე (გენდერი, შემოსავალი, განათლება, ასაკი და სხვა).	ფაქტორები, რომლებსაც არ აკვირდებიან, არ ზომავენ ან არაგაზომვადია, შეიძლება კვლავ განსხვავებული იყოს ამ ორ ჯგუფში და ზემოქმედება იქონიოს გასაზომ შედეგებზე, რამაც შეიძლება შეამციროს ინტერვენციის მიზეზ-შედეგობრივი ზემოქმედების გაანგარიშების ვალიდურობა.

სტატისტიკური შეპირისპირება	ბენეფიციარებისა და არაბენეფიციარების შედარება, რომლებსაც სხვა მახასიათებლები გავლენის დონის დამდგენი მაჩვენებლების მიღმა მსგავსი აქვთ.	მახასიათებლები, რომლებსაც არ აკვირდებიან, არ უზომავენ ან არაგაზომვადია, შეიძლება იწვევდეს მოსალოდნელი შედეგის ცდომილებას.
შემთხვევითი შერჩევით შეფასება	ეს ექსპერიმენტული მეთოდი ითვალისწინებს ადამიანთა შემთხვევით შერჩევას, რომლებიც არიან ან არ არიან ინტერვენციის ბენეფიციარები და ორი ჯგუფის შედეგების შედარებას. შემთხვევითი შერჩევისას, საშუალოდ, შესაძლებელია ინტერვენციის ბენეფიციართა და არაბენეფიციართა შორის ნებისმიერი განსხვავების თავიდან აცილება, მათი მონაწილეობის სტატუსის გარდა.	მიზეზ-შედეგობრივი შეფასება შემთხვევითი შერჩევის მეთოდით ვალიდურია მხოლოდ მაშინ, როდესაც შემთხვევითი შერჩევა „სწორად“ არის ჩატარებული. არაობიექტურობა შეიძლება იმან გამოიწვიოს, რომ ექსპერიმენტულ ჯგუფზე მოქმედებამ „გადაინაცვლოს“ საკონტროლო ჯგუფზე (გვერდითი ეფექტები), ან იმ პირობა, რომლებსაც შეუწო ინტერვენცია, აღარ მიიღონ მონაწილეობა ინტერვენციაში (ატრიბუციის ცდომილება).

წყარო: J-Pal (2016) IMPACT EVALUATION METHODS: WHAT ARE THEY AND WHAT ASSUMPTIONS MUST HOLD FOR EACH TO BE VALID?

OECD-ის მონაცემების შესაბამისად, ქვეყნების ერთ მესამედს (სულ 21 ქვეყანა, აქედან 19 OECD-ის წევრი) აქვს დებულებები, რომლებიც დეტალურად აღწერს შეფასების მეთოდთა ხარისხის სტანდარტებს (იხ. სვეტი „შეფასების ხარისხის სტანდარტი“). ქვეყნების ნაწილმა შეიმუშავა მეთოდოლოგიური გზამკვლევი ან სახელმძღვანელო, რომლის მთავარი მიზანია შეფასების მეთოდების სიღრმისეული გაცნობა, რათა შემფასებელს მიაწოდონ პრაქტიკული რჩევები შეფასების შესახებ. მაგალითად, დიდ ბრიტანეთში რამდენიმე მეთოდოლოგიური სახელმძღვანელო აქვთ, რომლებიც იძლევა დეტალურ რეკომენდაციებს პოლიტიკის ზემოქმედებათა შეფასების ფორმების და პროგრამების შეფასების შესახებ. ასეთი სახელმძღვანელოები ან დეტალური ცნობარები შეფასების მეთოდების შესახებ აქვს საფრანგეთს France Stratégie, Desplatz and Ferracci, 2016[130]), ესპანეთს (AEVAL, 2015[131]) და ლიეტუვას (Ministry of Finance (Lithuania), 2011[132]).

დანართი # 1: დიდი ბრიტანეთი: პოლიტიკის შეფასების მეთოდოლოგიური გზამკვლევი და სახელმძღვანელო დოკუმენტები

გაერთიანებული სამეფოს მთავრობამ იკისრა ვალდებულება, რომ აამაღლებს ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოთა ქმედითობასა და ეფექტიანობას განვითარების სხვადასხვა მექანიზმების გამოყენებით, რათა უზრუნველყოს ისეთი სახელმწიფო პოლიტიკა, რომელიც დაფუძნებული იქნება სანდო და დამაჯერებელ მტკიცებულებებზე. ამ მიზნის მისაღწევად, სამეფო ხაზინამ შეიმუშავა „მწვანე წიგნი“ და „მეწამული წიგნი“. მათში მოცემული რეკომენდაციები განკუთვნილია პოლიტიკოსებისა და ანალიტიკოსებისთვის. აღწერილია, როგორ უნდა შეფასდეს და გაანალიზდეს პოლიტიკა და პროექტები, რაც სახელმძღვანელო პრინციპების ამ ორ კრებულს ურთიერთშემავსებელს ხდის.

„მეწამული წიგნი“: შეფასების გზამკვლევი

სახელმწიფო პოლიტიკის შეფასებასთან დაკავშირებული მითითებები, რომლებიც „მეწამულ წიგნში“ არის მოცემული, განკუთვნილია ცენტრალური ხელისუფლებისთვის. ისინი ასახავს შეფასების ჩატარების კარგი პრაქტიკის სტანდარტებს და ცდილობს უზრუნველყოს პრობლემათა აღქმა, რომლებიც

პროექტების, პოლიტიკის, პროგრამებისა და სერვისების მიწოდების შეფასებისას წარმოიშობა. ამავე დროს, აღნიშნულ დოკუმენტში დეტალურად განიმარტება, თუ რა მეთოდებით ტარდება შეფასება.

„მწვანე წიგნი“: ცენტრალური მთავრობის გზამკვლევი შეფასებისთვის

„მწვანე წიგნი“ არის სამეფო ხაზინის მიერ შემუშავებული გზამკვლევი პოლიტიკის, პროგრამებისა და პროექტების შეფასების შესახებ. მასში ასევე მოცემულია მითითებები, თუ როგორ უნდა ჩამოყალიბდეს მონიტორინგისა და შეფასების სისტემები და გამოყენებოდეს განხორციელებამდე, განხორციელების დროს და განხორციელების შემდეგ. „მწვანე წიგნი“ არის მრავალი ნიმუში და სახელმძღვანელო მითითება ანალიზის კონკრეტული თემებისა და ანალიზის მეთოდების შესახებ, რომლებიც ხშირად გვხვდება მთავრობის ანალიზის დროს.

„წყლის წიგნი“: მთავრობის სახელმძღვანელო ხარისხიანი ანალიზის ჩასატარებლად

„წყლის წიგნი“ არის რესურსების კრებული, რომელიც მიზნად ისახავს ანალიტიკური კონტროლის ხარისხის გაუმჯობესებას. ის აერთიანებს ანალიტიკური ხარისხის უზრუნველყოფის მაღალი დონის პრინციპებს და აზუსტებს ფუნქციებსა თუ ვალდებულებებს, რითაც დეპარტამენტებსა და დაწესებულებებს ეხმარება ანალიტიკური გარემოს დანერგვაში. ეს ხელს უწყობს ხარისხიან ანალიზს, ანალიტიკური ხარისხის უზრუნველყოფის პროცესში უფრო მაღალი დონის შესაბამისობს სამთავრობო სისტემაში და ანალიზის ჩატარებაზე უფლებამოსილ პირთა შორის ანალიზის მიმართ ნდობის ამაღლებას.

მიუხედავად ამისა, პრაქტიკაში, მთავრობის საყოველთაო პოლიტიკის პრიორიტეტების შეფასებისთვის, ქვეყნების მხოლოდ უმცირესობა იყენებს ზემოქმედების შეფასების მეთოდებს, როგორცაა შემთხვევითი შერჩევის კონტროლირებული ცდები. როგორც 2018 წელს ჩატარებულმა კვლევამ დაადასტურა, გავლენის დონის შეფასებას 48 შესწავლილი ქვეყნის მხოლოდ 10% მიმართავს.

მონაცემთა შეგროვების ხარისხობრივი და რაოდენობრივი მეთოდები

სხვადასხვა მეთოდი შემუშავებული ინტერვენციების ეფექტურობის გასაზომად. ზოგადად რომ ვთქვათ, ერთმანეთისგან განსხვავდება კვლევის ხარისხობრივი და რაოდენობრივი მეთოდები. თვისებრივი კვლევის მეთოდები უფრო ფოკუსირებულია პროცესებზე და ხაზს უსვამს აქტორების ქცევას. ისინი ხშირად მოქნილები არიან იმიტომ, რომ აქვთ ეკლექტური მიდგომა და შეუძლიათ დასკვნების მორგება თავიანთ კულტურულ და პოლიტიკურ კონტექსტზე. ხარისხობრივი მიდგომით შესაძლებელია იმის დამაჯერებელი ახსნა, გარკვეულ ჩარევას რატომ ჰქონდა ან არ ჰქონდა გავლენა მოცემულ კონტექსტში. ხარისხობრივი მეთოდები მნიშვნელოვან როლს ასრულებს შიდა ვალიდურობის დადგენაში. ამასთან, ყოველთვის არ არის შესაძლებელი თვისებრივი კვლევის შედეგების განზოგადება. თავის მხრივ, რაოდენობრივი კვლევის მიზანია ზოგადი განცხადებების მომზადება (გარე ვალიდურობა). სტატისტიკური მეთოდები რთულ გარემოში ინტერვენციის შედეგების იზოლირების საშუალებას იძლევა. ამასთან, ეს მეთოდი ძალიან მგრძობიარეა მონაცემთა მიმართ. ამ შემთხვევაში საჭიროა დიდი რაოდენობით სანდო ინფორმაცია, შერჩევის ზომის (პოპულაციის შერჩეული ნაწილის - sample population) დადგენის მიზნით. რაოდენობრივი და ხარისხობრივი მეთოდები ერთმანეთს ვერ ჩაანაცვლებს, თუმცა ერთმანეთს ავსებს. რაოდენობრივი მეთოდი უზრუნველყოფს სტატისტიკურ საფუძველს უფრო ხარისხობრივი მიდგომისთვის, ხარისხობრივ ანალიზს კი შეუძლია განმარტოს რაოდენობრივი კვლევით დამყარებული ურთიერთკავშირები.

თეორიული ჩარჩოსა და იმ მექანიზმების ხარისხობრივი კვლევის გარეშე, რომლებიც საფუძვლად უდევს სავარაუდო ურთიერთკავშირებს, სტატისტიკურ ანალიზს არანაირი მნიშვნელობა არ აქვს.

შეფასების ჰოლისტური ჩარჩო თავის შეფასებებში იყენებს როგორც რაოდენობრივ, ისე ხარისხობრივ მეთოდებს. შეფასების ვალიდურობა და სანდოობა მონაცემთა შეგროვების სანდოობის პირდაპირპროპორციულია. მონაცემთა შეგროვების ადგილი დიდად არის დამოკიდებული შეფასების საგანზე. განვითარების ინტერვენციების შეფასებისას, როგორც წესი, ზოგიერთი მონაცემი გროვდება შესაბამის პარტნიორ ქვეყნებში. მათი ხელმისაწვდომობის შემთხვევაში შესაძლებელია არსებულ მონაცემთა ბაზების გამოყენება. მონაცემთა შეგროვების ყველაზე გავრცელებული ფორმებია:

- **დოკუმენტაციისა და ლიტერატურის შესწავლა** - საკვლევო სფეროს მკაფიო სურათის მისაღებად უნდა გავცნოთ ყველა ხელმისაწვდომ წერილობით წყაროს. ეს მოიცავს ინტერვენციებთან დაკავშირებულ ინფორმაციას, პოლიტიკასთან დაკავშირებულ დამატებით დოკუმენტაციასა და აკადემიურ ლიტერატურას, მოითხოვს არქივებში გულდასმით მუშაობას საყურადღებო საკითხების სისტემური ჩამონათვალის გამოყენებით. დოკუმენტაციის შესწავლისას მნიშვნელოვანია ინფორმაციის სანდოობის შეფასება.

- **ინტერვიუები ძირითად ინფორმატორებთან** - ზოგადად, განასხვავებენ სტრუქტურირებულ, ნახევრად სტრუქტურირებულ და არასტრუქტურირებულ ინტერვიუს მეთოდებს. მეთოდების გამოყენება დამოკიდებულია ინტერვიუს როლზე კვლევაში და მისაღები ინფორმაციის ხასიათზე. განსაკუთრებით, საწყის ორიენტაციის ფაზაში, ინტერვიუები ღია იქნება, რაც იძლევა საშუალებას, რესპონდენტებისგან მაქსიმალურად ბევრი განსხვავებული მოსაზრება და შეხედულება შეგროვდეს.

- **ჯგუფური ინტერვიუები** - შეფასებისას გამოიყენება სხვადასხვა სახის ჯგუფური ინტერვიუები. ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ფორმაა ფოკუს ჯგუფის დისკუსია, როდესაც ინტერვიუერებს შორის ინტერაქციაც ინფორმაციის ღირებული წყაროა.

- **პირდაპირი გაზომვა** - ბევრი რაოდენობრივი ინფორმაციის მიღება შესაძლებელია მარტივი აღრიცხვითა და დათვლით. წარმოების დონეზე ეს არის ყველაზე ლოგიკური მიდგომა. პირდაპირი გაზომვა განსაკუთრებით სასარგებლოა იმ შემთხვევაში, თუ ხელმისაწვდომია საბაზისო კვლევის მონაცემები.

- **პირდაპირი დაკვირვება** - დაკვირვების მეთოდი შემოიფარგლება საქმიანობის მატერიალური პროდუქტით, თუმცა ასევე შეიძლება იყოს დაკავშირებული გარკვეულ პროცესებთან. დაკვირვების მეთოდები (აუდიოვიზუალური საშუალებების გამოყენებით ან მათ გარეშე) ყოველთვის მნიშვნელოვან როლს ასრულებდა სავალე კვლევაში. უნდა აღინიშნოს, რომ ისინი შეიძლება ძალიან შრომატევადი იყოს. შეფასებისას ხდება (მეტ-ნაკლებად სტრუქტურირებული) მატერიალური პროდუქტების სწრაფი დათვალიერება, „ტრანსკრიპტი“ ან/და ტარდება დაინტერესებულ სამიზნე ჯგუფებთან ერთი ან მეტი შეხვედრა.

- **გამოკითხვები** - გამოკითხვის მიზანია დიდი რაოდენობით სტანდარტიზებული მონაცემების შეგროვება დიდი რაოდენობით მოსახლეობიდან. ასეთი მონაცემები გამოსადეგია სტატისტიკური ანალიზისთვის. გამოკითხვისას იყენებენ წინასწარ შედგენილ კითხვარებს. სასურველია კითხვარის წინასწარ ტესტირება (წერილობითი ან ზეპირი ფორმით). ძალიან მნიშვნელოვანია მისი გამოყენება საწყისი მდგომარეობის დასადგენად, რომელიც შეუცვლელია გავლენის შეფასებისას. იმის გამო, რომ გამოკითხვა შრომატევადი და ძვირადღირებული პროცესია, გავლენის შეფასებისას ხშირად გამოიყენება წინა კითხვარების ან მოდულების შედეგები, რომლებიც ემატება დაუსრულებელ კვლევებს.

- **შემთხვევის ანალიზი** - შემთხვევის ანალიზი გულისხმობს მცირე რაოდენობით კონკრეტული ინტერვენციების სიღრმისეულ შესწავლას. ის იძლევა დაინტერესებულ მხარეთა შეხედულებების ან ისტორიების რეკონსტრუქციის შესაძლებლობას. შემთხვევის ანალიზი უფრო ფართო კვლევის მნიშვნელოვანი დანამატია, რადგან მისი საშუალებით მეტად დეტალურად მოწმდება და განიმარტება

სტატისტიკური ანალიზის შედეგად გამოკვეთილი ურთიერთკავშირები. თუ შეფასება ემყარება მხოლოდ რიგ შემთხვევათა ანალიზს, უნდა განისაზღვროს, რამდენად წარმომადგენლობითია შერჩეული შემთხვევები.

ვიმედოვნებთ, რომ წარმოდგენილი ჩარჩო სასარგებლო აღმოჩნდება გარე აქტორების მიერ პოლიტიკის შეფასების პროცესის მართვის მიზნით და ხელს შეუწყობს საერთო ეროვნული მიზნებისა და ამოცანების წარმატებით შესრულებას.

დანართები

დანართი # 1: პოლიტიკის დაგეგმვის პროცესი - პოლიტიკის ინტერვენციების შეფასება

პოლიტიკის დაგეგმვის პროცესი - პოლიტიკის ინტერვენციების შეფასება					
ქვემოთ მითითებული კითხვები რელევანტურია როგორც ცალკეულ პოლიტიკასთან, ისე სტრატეგიასთან, სამოქმედო გეგმასთან, პროგრამასა და პროექტთან მიმართებით.					
შენიშვნა* : პოლიტიკის ინტერვენციების შესაფასებლად, საჭიროა კონცეფციის, სტრატეგიული გეგმის, სამოქმედო გეგმის, პროგრამებისა და პროექტების გამოთხოვა, თუკი უწყებას/უწყებებს შესაბამისი ინფორმაცია არ აქვთ გამოქვეყნებული საკუთარ ვებგვერდზე. რიგი ინტერვენციების შეფასება, მაგალითად, პროგრამების, შესაძლებელია საკანონმდებლო მაცნეში გამოქვეყნებული, ბრძანებით დამტკიცებული დოკუმენტაციის საფუძველზე.					
შენიშვნა ** : იმ შემთხვევაში, როცა კითხვაზე პასუხი ერთზე მეტი ერთეულის შეფასებას მოითხოვს, დაიხ/არა პასუხი განისაზღვრება საერთო შეფასების საფუძველზე და განიმარტება შენიშვნაში					
შენიშვნა *** : შიდა კონტექსტუალური შეფასების კრიტერიუმებში ერთეულის პირველ კითხვაზე უარყოფითი პასუხის გაცემა, ავტომატურად განაპირობებს ერთეულის სხვა კითხვებში უარყოფითი პასუხის დაფიქსირებას.					
